


645  
1964/9



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# სამკითხველს ქველი

ლ. ჯ. ჯ. ბ. ბ. ბ. ბ.  
№ 12 1964 წ.



**ბ. კაჩალიანი**  
 სპორტის დამსახ. ოსტატი,  
 სსრკ დამსახ. მწვრთნელი  
 გუნდის უფროსი მწვრთნელი.  
**ა. ლოლოვაძე**  
 სპორტის დამსახ. ოსტატი,  
 გუნდის უფროსი.

**ბ. კოტრიკაძე**  
 სპორტის ოსტატი,  
 მწვრთნელი.  
**ზ. იამანიძე**  
 სპორტის ოსტატი,  
 გუნდის კაპიტანი.

**ს. კოტრიკაძე**  
 სპორტის ოსტატი  
**ბ. სიჭინავა**  
 სპორტის ოსტატი  
**ვ. რახვიაშვილი**  
**ჯ. ჯიბლაძე**  
 სპორტის ოსტატი

**ბ. ცხომავაძე**  
 სპორტის ოსტატი  
**ბ. სიჭინავა**  
**ი. დათუნაშვილი**  
 სპორტის ოსტატი  
**ვ. ბარძია**  
 სპორტის ოსტატი

**ს. მებრძევილი**  
 სპორტის დამსახ. ოსტატი  
**მ. მესხი**  
 სპორტის ოსტატი  
**ა. აკუაძე**  
**ბ. კახიანი**  
 სპორტის ოსტატი

# ჩვენს ოქროს ბიჭებს!

უმჯობესებული თქვენზე გვირია, ქალიან გვირია და თითქმის ყველა, ვინაც ესმის სამსახურული. ჭეშმარიტად მინიჭებული, უმეტესი ფასის ფასი. კვირფასად! სიყვარულით გეხვევათ ყველა გულშემატკივარი, მაგრამ წარმოგიდგინეთ, რომ სულ სხვაა ქალის სიყვარული. ქალის თვალთ კიდევ უფრო დიდი ვაჟაყვი ხარ, ქალის თვალთ თქვენ ქალიან ლამაზობაც ხარ — ამ გზებზე გავიდა, უმჯობესობით, ვეფხვარი უმეტესობით გაბრწყინებული.

გვარდუნეთ, რომ თქვენი გულთამაშობელი ქალების ახრი უკეთ იცის ქალთა შურნაღმა. მისი ატანობით მართხვალის სახელით შურნაღ „საქართველოს ქალის“ რედაქცია გილოცავთ ფასობით 1964 წლის ჩემპიონობას.


ეს კარგი დასაწყისი იყო, მგობრებო!  
 ეს ერთი და სხვა მრავალი!  
 ყოველ წელიწადს გვინახოს თქვენს ვაჟაყვარ მებრძე ახალი ოქროს მებრძე!

645 / 64/2

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

7302

ქოსბოსის დაჯილდოება ფოტო ვ. აინაბეგოვის



Handwritten circular stamp or mark at the bottom of the page.



# ქონისეზის სალი

ეს საუბარი ერთმა კარგმა ამბავმა წამოგვაწებინა: თბილისში, კამოს ქუჩაზე „ქორწინების სახლი“ გაიხსნა.

ჩვენ ახლა კომფორტის, ლაზთიანობისა და გემოვნების ეპოქაში ვცხოვრობთ. ამას, რა თქმა უნდა, მაღალი მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობები უწყობს ხელს; ადამიანებს სურვილი აქვთ მათ ცხოვრებას საზეიმო ელფერი ბჭონდეს, მით უმეტეს, ისეთ მომენტს, როგორც ქორწინება.

\* \* \*

გახსნის დღეს დანიშნულ დროზე ადრე მოიყარა აქ ხალხმა თავი. თანამედროვე სტილის შეშინული ფასადი საშუალებას აძლევს ცნობისმოყვარეთ, გულდაგულ დაათვალიერონ შესასვლელი დარბაზი: დაბალი მაგიდები და სკამები, ლითონით მოპირკეთებული სვეტები, ორიგინალურად გადაწყვეტილი იატაკი. ყოველ კუთხეში სიხარული და მყუდროება მიყუყუღა, თითქოს და, მოთმინებით ელის სახლის პირველ მასპინძელთ.

ფასადის მარცხნივ ქვის მოზრდილი ბარელიეფია, რომლის ავტორიც ნიჭიერი ახალგაზრდა ხელოვანი გიორგი ოჩიაური გახლავთ. კომპოზიციურად შესანიშნავადაა ჩაფიქრებული ცხოვრების მთელი იდილია: სიყვარული, სიკეთე, სიუბვე და სიბრავლე. ახოვანი, კუნთებმაგარი ვაჟკაცი და ნაწნავებმტყუნება, ახლტიტანაინი ქალი სასმელით სავსე ფიალებით ურთიერთს გარდა, თითქოს, იმათაც ლოცავენ, ვინც დღეიდან მოყოლებული მრავლად ჩაუფლიან მათ გვერდით და ძნელსა და საპატიო, გრძელსავალ გზას დაადგებინან.

როცა მანქანიდან პირველმა პატარძალმა ფეხი გადმოადგა, ერთ წუთს რა-

დაც სადღესასწაულო სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ამ სიჩუმეში თითქოს იყო რაღაც უხმო, მაგრამ ნაირხმიანი მუსიკა, რომელსაც შორეული წარების წკრილი ერთვოდა. ყველას თუ არა, მათ მაინც აუცილებლად ესმოდათ ეს დიდებული ხმები, მათ, რომლებიც ახლა მუხლისა და ხელის კანკალით უახლოვდებოდნენ ახალი ცხოვრების წღურბლს.

პატარძალი თავს შესანიშნავად ფლობდა, უზრუნველი ღიმილით იღიმებოდა, ასევე ღიმილით ჩაიკრა მეგობრების მიერ მიძღვნილი დედოფალა გულში. სიძე კი რაღაც უხერხულად იყო, ხალხის სიბრავლე თუ აკრთობდა.

„მობრძანდით ბედნიერების დარბაზში“ მიწვევა პირველ რიგში სიძე-პატარძალს ეკუთვნის და ისინიც შედიან ბედნიერების დარბაზში, სადაც ყველაზე საპატიო ცერემონიალი—ხელის მოწერა სრულდება.

ყველა აქ დამსწრეს სულითა და გულთ სურს ბედნიერება ბოლომდე დამკვებბოდეს ამ შესანიშნავ წუველს, ყველას, ვინც კი აქ კარს შემოადგეს. არასოდეს დასჭირბოდეთ ამ საპატიო ცერემონიალის საწინააღმდეგო, გამოიშველი ცერემონიალის შესრულება.

იმ მაგიდის მოპირდაპირე მხარეზე, სადაც ხელს აწერენ, ქალ-ვაჟის ლითონის თავებია კედელზე გაკეთებული. ქალს თავზე ლითონისავე თასმა აქვს შემოხვეული, რომელიც მარჯვენა საფეთქელთან სამდება და შვეულად დაბლა ეშვება. და აი ამ დეტალთ ავტორმა ი. ოჩიაურმა იმდენი ქაღურობა, სინარნარე და სინატყვე შესძინა თავის ნაწარმოებს, რასაც სახის ვერავითარი გამომეტყველება ვერ შესცვლიდა. თუმცა ავტორისავე სახებლოდ უნდა ვთქვათ, რომ

მის ფიგურას არც ეს უკანასკნელი აქლია. ქალ-ვაჟს თავები ერთმანეთისთვის ფაქიზად მიუყრდნიათ და მათ შემბდევარე წუველებსაც მარადიულ სიფაქიზესა და ერთგულებას უქადაგებენ.

ქორწინების სახლს სხვა დარბაზებიც აქვს: შესასვლელის ხელმარცხნივ, კიბეს თუ ქვევით ჩაბუვებით, საბანკეტო ოთახში აღმოჩნდებით, სადაც მახლობლები ახალდაქორწინებულთ სახელდახელო პურმარილითა და ღვინით დალოცავენ. რაფებზე ქართული შავი კერამიკის სურები და სასმისებია ჩამორიგებული, რაც ეროვნულ იერს აძლევს აქაურობას; ხოლო თუ შესასვლელის ხელმარცხნივ, კიბეს ზევით აუყვებით, ჭერ



საჩუქრების ოთახში ამოხყოფთ თავს, სადაც ნათესავებსა და მეგობარ-ამხანაგებს ახალი ოჯახისათვის ძღვენად მისარტმევი ნივთები შეუძლიათ იყიდონ, ხოლო მერე კი რეგისტრაციის ოთახებში შეხვალთ. აქ ახლადშეუღლებულნი საბოლოოდ აფორმებენ თავიანთ კავშირს.

პირველ დღეს ოთხმა წუველია იქორწინა; ალტაცებული საზოგადოება ჭერ ერთი წუველის რიგინად „ათვალიერჩათვალიერებას“ ვერ ასწრებდა, რომ განიერ კარებში უკვე შემდეგი წუველი შემოდიოდა. გამუდმებით ჩხაკუნობენ ფოტოაპარატები. ქორწინება ბედნიერი და სასიხარულო მომენტია ყველასათვის, მაგრამ მათ, ვინც აქ პირველ დღეს იქორწინეს, ამ შესანიშნავი დაწესებულების გახსნის სიხარულიც უეად დაერთოთ. ოთხივე წუველი, ალბათ, სამუდამოდ შეინახავს იმ შურნალ-გაზეთებს, სადაც მათი ბედნიერი წუთების შესახებ სწერენ.

ხალხი დარბაზებმა ვერ დაიბია; გარეთაც ბევრი დგას. განწყობილება საერთოდ გადამდები რამაა. ყველას ისეთი კმაყოფილი და ბედნიერი სახეები აქვს, თითქოს თვითონ იყვნენ უშუალოდ ამ ზემის მიზეზი. ვეება, რვასართულიანი სახლი საგანგებოდაა გაჩაღებული, აივნებზე ხალხი გამოფენილია.

ამ სახლში ბევრი ძველი და ახალი ოჯახი ცხოვრობს; ყველას თავისებური ფიქრი და საზრუნავი აწუხებს. მაგრამ ამ წუთებში, ალბათ, ყველა თავისი ქორწინების პირველ დღეზე ფიქრობს, და ვინ იცის, იქნებ გულიც წუდებთ, რომ მათ ასეთ გაბრწყინებულ დარბაზებში არ მოუწიათ ამ ლამაზი ცერემონიალის შესრულება.

ნანული ცაბარეიშვილი



იოსებ პატარაშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ნანა მესხიძე

„შვილებს ენაცვალოს დედა. თქვენ გენაცვალთ დედათქვენი, არ გამიცვიდეთ, ყველას კარგად გაფართოთ? ჰო, ვგრე, ვგრე, ყველანი რომ ძილში აფიქსინდებით, მისარია. არ გამიცვიდეთ! ნიკოს მარცხენა ფეხი ყოველთვის საბნის ზევით აქვს გადადებული.“

ცოტა აიწი, აწიე ფეხი, გაგიცივდება. აი, ასე უნდა ამოიჭუჭკო საბანი... გძინავს? კარგი, იძინე! ოღონდ ეს ფეხი კი შიგნით გქონდეს.

განო როდისღა გადაეჩვენა მარცხენა მხარზე ძილს? ზურგზე გადმოვაბრუნებდი, მაგრამ იმ წუთშივე ისევ გვერდზე გადაბრუნდება, ცუდათაა დაჩვეული მშვიდად ფშვინავენ ჩემი ბარტყები. არ გამიცვიდეთ! ჭირი მოგტამეთ, შემოგველოთ დედა.

— ჟუჟუნა, შვილო, შენ ისევე აბოდებ? შე ცუდლულტო, შენა! — ოთახში დაბორიკალობს ლამისპურანგინი ქალი, მერე შუქს აქრობს და წვება.

ქალმა გვერდი იცვალა და დაავიწყდა ფიქრის რომელ ხვეულს მიყვებოდა. მერე ოთახს მოაგლო თვალი და თავი ბალიშზე გაასწორა.

„იძინეთ, შვილებო. დილაადრიან დიდსა და პატარას რომ წამოგშლით და საქმეს გაგინაწილებთ, ჯიგარი მეწვის, მაგრამ ასე სჯობია, ფხას მიიღებთ, საქმეს მიეჩვევით.“

ქალი ფანჯრისაკენ გადაბრუნდა. გარეთ ბნელოდა და ქარი ქროდა, ოთახშიც ბნელოდა, მაგრამ სიმყუდროვე იდგა.

„ყველა საღამო ასე იწყება: დალაგდებიან ჩემი ბარტყები, მეც მივიდგამ აკვანს საწოლთან. თამრიკო... თალილა... თოლი... თოლია... ერთს შემომცინებს აკვინდან, სამ-ოთხჯერ გადავარწევ და ჩაეძინება.“

„ზლაპარი, დედა, ზლაპარი!“ ამოილაპარაკებს ქეთო, გია, ან ზეზვა... ო, ამათ ენაცვალოს დედა!“

„დედა, ზლაპარი“, — აყვებიან სხვები. და მეც ვყვები... ამ საღამოსაც მოვუყვები:

„იყო და არა იყო რა, ცხრა მთას იქით ცხოვრობდა ცხრათავიანი დევი...“

„ცხრა მთას იქით ცხოვრობდა ცხრათავიანი დევი“, გაიგეორა თავწამოწეულმა ზე-

ზვამ. ბნელოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ წამოიწია და ისე თქვა

„დევეს ცხრაკარიან ციხეში ჰყავდა დამწყვდეული ცხრა წლის ოქროსთმიანი ბიჭი. — უთხრა გიამ ზეზვას.“

„ნუ აწყვეტიხებთ, თორე აღარ იტყვის ზლაპარს,“ — გაუჟავრდა ორივეს ქეთო.

„სუ, სუ...“ პირზე ხელი ააფარეს ერთიმეორეს და გატრუნული მისმენდნენ. სულ ესაა ჩემი მრევლი. ზოგი დიდა და მოწყვნილი აქვს ზლაპრები, ზოგი პატარაა და პირველი წინადადების შემდეგ ეძინება. ერთადერთი ჟუჟუნაა დიდებიდან, რომელიც ბოლომდე მისმენს, მაგრამ ის დიდაა, ზლაპრისა არ სჯერა. ჟუჟუნა არასოდეს არ ერევა ზლაპრის თქმაში. თითქოს არც კი ესმის. როცა სამივე გაჩუმდა, გაგავრძელე:

„დევი მეცხრე კართან იწვა და გვერდით უშველებელი შუბი ედო... გამიშვი დედასთან, — ემუდარებოდა ბიჭი.“

დევი ბიჭის პასუხად საშინლად იცინოდა. — გამიშვი დედასთან, — იმეორებდა ბიჭი.

— დედაშენი აქაა, — ყვიროდა ართხრობებული დევი და რალაცაზე აბარტყუნებდა ვეება ხელს.

— დედა, თუ მანდა ხარ, ხმა გამეცი, დედა! — იძახდა ბიჭი.

დევი საშინლად ხარხარებდა, სულ მაღლა-მაღლა ხტოდა სიცილისგან და რალაცაზე აბარტყუნებდა ხელს.

ერთხელ ბიჭმა ცხრა კარის გასწვრივ ჭუჭრუტანა იპოვა. დევი თურმე იმ ჭუჭრუტანით იყურებოდა ციხეში... გაიხედა ბიჭმა და დაიძახა:

— სადა ხარ, დედა?

დევი მიხვდა, ეშმაკი ბიჭუნა ჭუჭრუტანიდან იყურებოდა. წამოიზლაზნა ფეხზე, კარების გასწვრივ დადგა, მუცელზე ხელის ცემას მოჰყვა და ბოხს ხმით დაიქუხა:

— აი, აქ არის დედაშენი, აი, აქ.

— საწყალი ბიჭი, — აწუწუნდა ზეზვა.

— დევმა გადაუსანსლა დედა, — თვალის-

სრესით დასძინა გიამ.

— ჰო, — ნაღვლიანი ხმა ჰქონდა ქეთოს. და გაგავრძელე:

— ბიჭი მიხვდა, დევს გადაეყლაბა დედამისი და ატირდა.

— ნუ ტირი, პატარა ბიჭო, — გადმოსძახა ერთმა ვარსკვლავმა.

— ჰო, რა გატირებს, ამოიხედე აქეთ, — ახმიანდა მეორე ვარსკვლავი.

ბიჭმა ვარსკვლავებს ასედა.

— განა თქვენ იცით საუბარი? — გაუკვირდა ბიჭს.

— ჩვენი საუბარი ბავშვებს ესმით, — უპასუხა პირველმა ვარსკვლავმა.

— ვინც კეთილია, — დაუმატა მეორემ.

— მითხარით, კეთილო ვარსკვლავებო, როგორ ვუშველო დედას?

ვარსკვლავები ერთხანს დუმდნენ, მერე კი...

— მართლა როგორ უშველოს დედას? — დაიძახა პირველმა ვარსკვლავმა.

— როგორ უშველოს დედას? — აჰყვა მეორე ვარსკვლავი.

და მერე ახმაურდნენ ვარსკვლავები:

— როგორ უშველოს დედას?

— როგორ უშველოს დედას?

სადაღაც ცის მეორე კიდმდე მიღწია ძახილმა და იქიდან გამოეხმაურა აღმართზე მიმავალი, წელში მოხრილი ნამგალა მთვარე:

— წიგნები ასწავლიან. — მთვარეს ვარსკვლავები აჰყვენ და მთელ დედამიწას მოედო გუგუნი:

— წიგნები ასწავლიან...

— წიგნები ასწავლიან...


— ჰო, — გაუხარდა ბიჭს და მადლობა შეწირა ვარსკვლავებს.

ბიჭი ერთხანს გახარებული იყო, მერე კი შეძრწუნდა:

— მართლა, წიგნები? — აღმოხდა მას.

— გაატანე შენი ოქროს თმა ნიავს, — ჩამოსძახეს ვარსკვლავებმა.

ბიჭმა თმას მოსწია, ეტკინა, მაგრამ მაინც ამოწყვიტა, ნიავს გაატანა და თვალი გააყოლა.



— წიგნები, წიგნები, წიგნები, — აგუგუნდა ცა. უცებ მოფრინდნენ მტრედები დედამიწის ყველა კუთხიდან, მოქპონდათ მთელი ქვეყნის სიბრძნე ქალღმერთი დაწერილი. თოვლის ფოფქივით ცვიოდნენ გრანდილები ბიჭის ირგვლივ. ცვიოდნენ, ცვიოდნენ, ცვიოდნენ.

— მერე, დედა? — მკითხა ქეთო. ზეზვას და გიას კი ჩასძინებოდათ.

— აქამდე ვიცოდი.

— ბიჭი კითხულობდა წიგნებს?

— ალბათ.

— ათენებდა ღამეს ვარსკვლავების შუქზე კითხვას?

— ასე იქნებოდა.

— ჰოდა, უშველიდა დედას.

ჩმა არ გაეცე და თავისთვის გაიშეორა:

— აუცილებლად უშველიდა, — მერე ისიც მითხრა და კედლისკენ გადაბრუნდა.

გული ვერ მიძლებს, თუ არ დაგხედ, რო-

ცა ყველას ჩაეძინება, შუქი თუ არ ავანთე და საბნები არ გაგუსწორე. თქვენი სუნთქვის ჭირიმე! დამეზარდეთ, იხარეთ!”

ქალმა გვერდი იტყია, ხელი შუბლზე დაიდო. თავი ოდნავ ტკიოდა.

„დავიძინებ, დილით ადრე უნდა ავდგე. მინდა ჩქარა დავიძინო — და... დამთქნარა. — ვერ კი ვიძინებ. ათასი რამე ტრიალებს თავში, აღარაფერს ვიფიქრებ“. უნდა ჩასძინებოდა, მაგრამ ნელ-ნელა შეეპარა საფიქრალი:

„როდის ჩამოვა ელიზბარი? ძალიან უდარდო კაცია. თვრამეტი წელია შევეუღლით და თვრამეტი თვეც არ ვყოფილვართ ერთად. ზაფხულში, ცხვარი მთაში რომ დაბრუნდება, ერთი თვით ჩამოვა სახლში, შეშას მოამარაგებს, დაფუქს მოიტანს და მიდის ისევ მთაში, ისევ ცხვარში. შარშან ბავშვებში დაჯდა და სახელებს იმეორებდა: შალვა, შუქუნა, ნიკო, ვანო, ქეთო, ზეზვა, თამარი.“

— გამოგვჩა, მამა, გამოგვჩა, — კელასა-

ვით მივარდა აკისკისებული ქეთო მარჯვენის სალოკი მარცხენას მიარტყა და რიგრიგობით მიაყოლა:

— შალვა... შუქუნა... ნიკო... ვანო... თო, — აქ თითი მკერდზე მიირტყა, ვენაცვალე ფუნულა თითებში, ახლა მარცხენის სალოკით გადაკვცა მარჯვენის თითები: — გია... ზეზვა და თოლია... —

— გია შეცდომითაა დაბადებული, — უთხრა მამამ და ლყაყუნე თითი გაუწკაპუნა, გოგოს ველოდით და ბიჭი გამოდგა.

დაჯდებით ხოლმე ორნი ცალკე და გვეგმავთ:

— შალვა საშუალოს ამთავრებს, ჯარში წავა. როცა ჩამოვა, ისწავლის, ვეტერინარულზე ოცნებობს. შუქუნა ჩუმჩუმად ლექსებსა წერს. ნიკოს წიგნი ეჯავრება, მანქანისაკენ გაუბრუნს თვალი; ნეტავ შოფერი არ გამოვიდეს! ვანოს ბაღში ტრიალი უყვარს, მებაეფ გაიზრდება. ქეთოს ცეკვა ემარჯვება.

— დედაკაცო? მინდორზე უნდა გავიდე და სოფელი დავასახლო, სოფელი. ვისაც ჩემი ქალები მოეწონებათ, მოვიდნენ და იქ დასახლდნენ! — იტყვის ხოლმე ელიზბარი და მძიმე თათს მხარზე დამადებს. — სოფელი... ისე დაგვიფრინდებიან ბუდიდან, რომ...

სადაც უნდა იყვნენ, კარგად იყვნენ, კარგები იყვნენ და...“

უცებ აკვანში პატარა აკრუსუნდა, შეიშმუნა და გადაჭიმულ არტახებს პაწია ხელებით მიაწვა. ქალმა პერანგიდან ძუძუ ამოსწია და აკვანზე გადაწვა:

„რამ აგაკრუსუნა, თალია, თოლმე, თოლია... ნუ იტირებ, დედა, აპა, ძუძუ! ნუ მკბენ თალია! იცი როგორ მტკივა? კიჭები ამოვივიდა. გაიცინე კიდევ? კარგი, ახლა კი დაიძინე! ხმამალა ვერ გეტყვი ნანას, შუქუნამ ფხიზელი ძილი იცის და გაეღვიძება. ხმამალა ვერ გეტყვი ნანას, თორემ ისე კი: ნანა თამარიკოს, ნანა, ნანა, შე კუდრაჭა, შე-ნა. სადაცაა, ერთი წლის გახდები, იცი რამე-ხელა ერთი წელი?! ნანა, ჩემო სიცოცხლე, ნანა! როგორ ტრიალებს ეს აკვანი, თითქოს დაძველდაო. აკვნის დაძველებაზე ცუდი არაფერია, აი, თქვენ დაიზრდებით, ჯერ შალვა გააკეთებინებს ახალ აკვანს, ეგ იმი-ტომ, რომ დაძველებული აკვანი ძალიან მე-ჯავრება. დაიძინე, თოლია, დაიძინე, თორემ ლამის შუალამეა. დედა დიდალა. დილაზე ადრე უნდა ადგეს დედა“.

ქალმა აკვანი გააჩერა, ბავშვი წყნარად იყო და დედა ტკბილ ბურუსში ჩაიძირა. თვლები მილულა.

„არ გამიცვიდეთ, შემოგველოთ დედა, არ გამიცვიდეთ! თქვენ გენაცვალოთ დედა. ოპ!..“

თეთრ ბალიშზე თმა გადაშლილა, ცალი ხელი აკვნისთვის გადაუღვია, მეორე საბნის ზევით გადაწოლილა და საბანგადაწეული, სავსე მკერდი დედისა მშვიდად ადის და ჩადის.

ღამეა...



# აქაჩელი მეფრინველები

ამერატორი სულიკო კუცია



ლიზა გავაშელი



ექვსი წლის წინ აქ სულ სხვა სურათი იყო — იდგა პატარა საინკუბატორო და ჩრდილო კავკასიიდან ჩამოტანილი კვერცხიდან წიწილები იჩეკებოდნენ, მერე ეს წიწილები აჭარის კოლმეურნეობებს მიმყავდათ თავიანთ მექათმეობის ფერმებში. საფიქრალი ის ჰქონდა ბათუმის მახლობლად მოთავსებულ საინკუბატორო სადგურის დირექტორს ლიზა გავაშელს, რომ შრომას პირი არ უჩანდა. შორი მანძილიდან ჩამოტანილი კვერცხი გზაში ფუჭდებოდა, ტყდებოდა კიდეც. ზარალი რომ თავიდან აეცილებინა, ლიზა გავაშელმა კვერცხის ბაზისთვის ათასი ფრთა ქათამი გამოზარდა. იმ წელიწადს კვერცხის ჩამოტანა აღარ დასჭირვებია საინკუბატორო სადგურს — 18 ათასი კვერცხი, რომელიც მშვინ მიიღეს, ბაზის ვაზრდის ახალ შესაძლებლობას იძლეოდა. და აი, მომავალ წელს, ქათმის ახალი სადგომი წამოჭიმეს, სადაც უკვე 4 ათასამდე ქათამი აკრიახდა.

მალე დაიწყო შრომა იმისათვის, რომ საინკუბატორო სადგურის მაგიერ მეფრინველეობის ფაბრიკა ყოფილიყო. ლიზას დაუცხრომელმა ენერგიამ კვლავ იჩინა თავი. ვაჩაღდა მშენებლობა, აგური აგურის დამატა, ამოიზარდა სადგომების კედლები, გადახურეს, შემოავლეს მავთულის დობე, გაიყვანეს მოასფალტებული გზები და გაშენდა ფრინველების ქალაქი.

დღეს ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკა.



მერი კაპიკაძე

შაკები, მასავით საქმეზე შეეყვარებული და გამრჩე, ისინი 94 ათას ფრთა ფრინველს უვლიან. ესენი არიან — ბრიგადირ-ზოოტექნიკოსები იზო ჭიპაშვილი და დედოფალ-ლუა, თითოეულმა კარგი მუშაობისთვის გაუსულ წელს მარტო პრემიის სახით 210 მანეთი მიიღო. დირექტორი ემადლიერება მეფრინველეებს უშუალოდ შალიკაშვილს, ნინო კოზაევას, სონია სერგეევას, ვალენტინა რაკოვას, იზოლდა ესვანჯიას — პრემიის სახით მათაც საკმაო თანხა ერგოთ. სონია ბოლქვაძემ 80-დღიანი წიწილის წონა 1.088 გრამამდე აიყვანა და 898 მანეთი პრემია დაიმსახურა.


ამ ადამიანების გარჯის შედეგია, რომ ფაბრიკამ 1964 წლის პირველ ნახევარში 280 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს 615 ცენტნერი ხორცი ჩააბარა, დიდი გადაჭარბებით შეასრულა კვერცხის ჩაბარების გეგმაც.

იზისათვის, რომ ასეთი წარმატებები ჰქონდეთ, ფაბრიკაში კანონად იქცა მატერიალური დანტერესების პრინციპი, კარგად არის დაყენებული შრომის ორგანიზაციის და აღრიცხვის საქმე, ხორციელდება ფრინველის ჯიშთა შეჯვარება, მტკიცედ იცავენ ტექნოლოგიურ პროცესებს. და თუ ყველაფერ ამას დავუმატებთ კიდევ, რომ აქ ადამიანებმა იციან, რისთვის შრომობენ და უხარიათ შრომა, საქმეს არაფერი გაუჭირდება, ყოველთვის იმაზე მეტს შესძლებს და გააკეთებს კოლექტივი, ვიდრე ევალება.

კას პირველი ადგილი უკავია რესპუბლიკაში ფრინველის გამოზრდა-შენარჩუნებისა და ხორცის წარმოების მხრივ.

გასულ წელს აქაურ მეფრინველეებს სხვა რაიონის მეფრინველეებთან შედარებით უფრო იაფი დაუჭდათ ერთი კილოგრამი ხორცის წარმოება. თუ გვგვით კილოგრამი ხორცი 1 მანეთი და 80 კაპიკი უნდა ღირებულებულიყო, იგი დაჯდა 1 მანეთი და 40 კაპიკი. 650 ცენტნერის ნაცვლად ფაბრიკამ 819 ცენტნერი ხორცი ჩააბარა, 500 ათასი ცალი კვერცხის ნაცვლად კი—614 ათასი ცალი. აღსანიშნავია, რომ ბათუმელი მეფრინველეები აღწევენ იმას, რომ 80 დღის ასაკში წიწილი 888 გრამს იწონის, ნაცვლად 750 გრამისა. საგრძნობლად შემცირდა წიწილის კვეხის ხანგრძლიობა და გაიზარდა მისი წონა. შემცირდა კვერცხის ღირებულებაც — 10 ცალი კვერცხის ღირებულება 62 კაპიკის ნაცვლად 61 კაპიკია. ყოველივე ამის შედეგი იყო, რომ გასულ წელს 18 ათასი მანეთის ნაცვლად 54.428 მანეთის მოგება მიიღო ფაბრიკამ.

ეს წარმატებები მარტო ლიზა გავაშელს არ მიეწერება. მას ჰყავს შესანიშნავი მუ-







მხატვარი დ. ზარაფიშვილი

ნამდვილი ამბავი

დღეს ნახვის დღე ყოფილა. მე არავის ველი. ჩემიანებს არ შევატყობინე. შორს არიან და არ მინდა ავაფორიაქო ისინი. ნაცნობ-მეგობრებისთვის კი, მეზობელს დაგუბარე, რომ ერთი თვით ქალაქიდან გავდევარ, მასვე ვთხოვე, ჩემს სახელზე მიღებული წერილები საავადმყოფოში გადმოვზავნა.

წიგნს ვშლი, რომ ნახვის საათში კითხვით გავერთო. პალატაში ექვსი ავადმყოფი ვართ. ჩემს გარდა ყველა მნახველის მოლოდინშია. ყველაზე ადრე შემობრბის ორი გოგონა. ტყუბებს გვანან, მეცხრე-მეათე კლასელები თუ იქნებიან, ათას რამეს მოათრევენ ჩანთებით, ბადით, პარკით. ესენი ჩემს გვერდით მწოლ ავადმყოფთან არიან. სიხარულის ცრემლები უბრწყინავს თვალებში მათ დედას. დიდიდან ტკივილი აწუხებდა, განაწამებში სახე ჰქონდა. ახლა კი მშვიდად წევს. თითქოს ასე მოსვენებული ყოფილიყოს მთელი დღე.

— როგორა ხარ, დედა, როგორ გეძინა? — არ აცლიან ერთმანეთს გოგონები.

— ეს სტაფილოს წვენი მე გამოვწურე, ახლავე უნდა დალიო. თუ ჩემი დედა ხარ!

— ეს ნამცხვარი მე გაგაგეთე, აბა, ნახე თუ მოგეწონება?!

— ყველაფერს გავინჯავ, მაგრამ როდის მოასწარით ამდენი რამე? — უკვირდა დედას.

— საერთო ძალით!.. — იცინიან გოგონები.

— ყოჩაღები ხართ! თქვენ ნახელავს, რა თქმა უნდა, გემრიელად შევქეცვი.

დღეს მე შემომჩიოდა: მადა სრულებით არა ჩაქვსო, არაფრის ჭამა არ შემიძლიათ...

ყველასთან მნახველია. ისმის ხმაშეკავებული სიცილი, დაბალი საუბარი. მე წიგნს ჩავჩრებოვარ. ერთსა და იმავე გვერდს ხელახლა ვუბრუნდები, რადგან არ ვიცი; რა წავიკითხე...

ნახვის საათი დამთავრდა. მნახველები გაიკრიფნენ. ავადმყოფები ერთმანეთს უმასპინძლდებიან, უზიარებენ ახალ ამბებს.

პალატაში არ არის მხოლოდ ფანჯარასთან მწოლი. ის გვიან შემოვიდა. საწოლს უხმოდ მიაშურა. მასაც მოუკითხეს მოტანილი. ხელი არაფერს ახლო — არაფერი არ მესიათვნება, ჩემი კარადაც სახვე მაქვს ათასი რამეთით.

წუხელის, როცა ყველას ეძინა, მე კი ჩვეულებრივად უძილოდ ვათენებდი ღამეს, ის ჩუმად წამოდგა, ფანჯარის რაფას დაეყრდნო, დიდხანს გააყურებდა ღამის წყვდიადს. მერე ფანჯარას ჩამოშორდა, საწოლზე ჩამოჯდა, ფეხები ლოგინზე აკრიფა, თავი მუხლებს მიაყრდნო, თითქოს ვილაცის მიესვენა და დიდხანს იყო ასე გაქვავებული.

უკვე ათი დღე გავიდა, რაც აქა ვარ. ყველას თავისი სატკივარი ალონებს: ვის სიცხეს უმატებს, ვის დანიშნულებას უცვლიან.

დღე შეუმჩნევლად მიიპარება. ღამეა ძნელი — სატკივარი მეტად გავუხებს და ათასი ფიქრი ირევა ერთმანეთში.

ყოველ ღამე, როდესაც საავადმყოფოში ხმაური მიწყდება და პალატებში სიჩუმე დაისადგურებს, ძილს მისცემენ თავს ავადმყოფები. ხანდახან თუ

გაისმის ყრუ კენესა. აი, სიჩუმეში წამოდგება ლოგინიდან ის, ვინც ფანჯარასთან წევს, მიეყრდნობა ფანჯარის რაფას, გააყურებს და მესმის მისი ჩუმი გმინვა.

დილით კი, ღიმილით ყველას მიხედავს, მოიკითხავს, ანუგეშებს, მოეხმარება. მიწოდებულზე უარს იტყვის, მეც ბევრი მაქვსო. მასთან მოსული ჯერ თითქოს არავინ მინახავს. არავის მოუტანია მისთვის რაიმე. ნახვის დღეებში ხშირად ვიჭერ მის ნაღვლიან გამოხედვას. როგორც კი მნახველები მოსვლას იწყებენ, ის გადის პალატიდან. ღია კარიდან ვხედავ, როგორი მოლოდინით გააყურებს დერეფნის შემოსასვლელ კარს.

გუშინ რომ ჩემს მეზობელს უდროოდ ესტუმრა თავისი ორი გოგონა, დედის ჩურჩული მომესმა: — გთხოვთ, ნუ მოხვალთ ხშირად. გესმით? ნუ მოხვალთ, უფრო მშვიდად ვიქნები. ასეა საჭირო.

— რატომ, დედა? რატომ არის საჭირო? — ეკითხებიან გაკვირებული შვილები.

— მერე გეტყვით. მაწუხებს თქვენი ხშირი მოსვლა. ასე გადავცით ყველა ჩვენთან. აქ ხომ ისეთებიც არიან, ვისაც შვილები ხშირად ვერ ნახულობენ, — გამოსცრის ისე ჩუმად, რომ ძლივს სწვდება ყურს მისი სიტყვები. თან ფანჯარისკენ ისეღებდა. თუმცა იქ საწოლი ცარიელია...

— აღარ ვივლით, — მესმის ჩაოი ნაღვლიანი ხმები.

— ასე სჯობს, — ამბობს დედა.

და როდესაც გოგონები მიდიან, ფანჯარასთან მწოლი დერეფნიდან საწოლს უბრუნდება. ვხედავ, ჩუმად უხმობს მას ჩემი მეზობელი.

— დამალეს, — ამბობს. — ავუკრძალე ასე უთავბოლო სიარული თავიდანვე არ უნდა მიმეცა აქ ხშირად სირბილის ნება.

ქალი ჯერ გაკვირვებით შესცქერის მწოლიარეს და შემდეგ ერთბაშად ეთანხმება:

— დიას, დიას, საჭირო არ არის. არ არის საჭირო.

— მართალია, ასე სჯობს, — ვამბობ მეც ჩემ გულში. — არ არის საჭირო.


დღეს ჩემს ლოგინთან მოვიდა, ჩამოჯდა იქვე სავარძელზე და თითქოს ვილაცის წინაშე თავს იმართლებდა, მეუბნება:

— დედა მოუკვდეს ჩემს ვახტანგს. ეს ორი თვეა დიდი სამუშაო აქვს, დღესა და ღამეს ასწორებს. რძალიც ცოდოა, პატარა ჰყავს, ოჯახიც თავისას მოითხოვს. რა ქნას ჩემმა ქალმაც, ქეთინომ, ქმრის მშობლებთან ცხოვრობს, დიდი ოჯახია. ბაჭყვებს მუსიკა, ენები, ცეკვა და ეს ზამთრის დღე ხელიდან ეცლება. მე კი აქ რა მიშავს. ყველაფერს მიგზავნიან. ოღონდ კარგად მყავდნენ. უმამოდ დაზრდილები არიან და სულ გული მეთანადრება, არაფრით დამეჩაგრონ.

— რა თქმა უნდა, — ვეთანხმები მე.

დილით-დღე მოუხვეწრობა ეტყობა ქალს. ადგილს ვეღარ პოულობს, სულ გზას გასცქერის, სულ მისკენ აქვს თვალი.

დღეს ჩვენი პალატიდან სუთივე ავადმყოფი წავიდა სხვადასხვა პროცედურის მისაღებად. მხოლოდ მე დავრჩი, რადგან სახსრების მწვავე ტკივილები დამეწყო.



კარი უცნობმა ქალმა შემოაღო, პალატას გადახედა და გაკვირვებით შეჩერდა. მერე ჩემსკენ მობრუნდა და იკითხა ის, ვინცა ფანჯარასთან წევს.

— სად არის ანა ხირსელი, ცუდად ხომ არ გახდა?

— აბაზანისთვის წაიყვანეს. ერთი საათი შეაგვიანდება. იქნებ დაელოდო? — ვთხოვე მე.

— ერთი საათი? არა, ერთ საათს ვერ გავჩერდები. მე ანას მეზობელიც ვარ და მეგობარიც. დამნაშავე ვარ, რომ ვეღარ მოვაკითხე, — თითქოს ჩემთან იმართლებდა თავს ქალი. — შემდეგ: — ვთხოვე ეს ბარათი და, — შეხვეული მიჩვენა, — აი, ეს გადასცეთ. ეს ბარათი მისმა ქალმა დამიტოვა, კონვერტში 15 მანეთი არის. ეს მისი პენსიაა. მე ვიღებ მის პენსიას, მისივე თხოვნით. 15 მანეთი მისმა ქალმა გამომართვა. გოგოსთვის სათხილამურო კოსტუმი ვიყიდეო. ბაკურიანში წავიდნენ წუხელის. ვერ მოასწრო აქ მოსვლა, — დამნაშავესავით შემომხედა. — წუხდა, დედა არ მიწახავსო. იმედიაანდ კი იყო — არაუშავს, იქ ექიმებიც არიან და კარგი მკურნალობაც აქვსო. არც ისეა ავად, რომ ჩემი დარჩენა საჭირო იყოსო. — ერთხანს უხმოდ იდგა, მერე ხელი ჩაიქინა და წასვლა დააპირა. —

ის იყო კართან მივიდა, რომ შევაჩერე.

— როდესაც ისევ მოხვალთ მასთან, ნუ ეტყვი, რომ მნახეთ, ან მითხარით რამე. ვითომ ეს ბარათი სანიტარმა გადმომცა.

ჯერ გაკვირვებით შემხედა, მერე თავი დაბიქნია და ჩუმად თქვა: კარგი. ქალს ბარათი და შეხვეული გადაეცემა. სანიტარმა მოიტანა-თქო, ვუთხარი და წიგნი გავშალე. კონვერტიდან პაწაწინა ბარათი ამოიღო, დიდხანს დარჩა თავდახრილი. მერე უღონოდ ხელი დაუშვა და დერეფანში გავიდა. კარებთან სავარძელზე ჩამოჯდა და იჯდა დიდხანს. მერე დავიანხე, სანიტარს ფული გადასცა. კარგახნის შემდეგ შემობრუნდა ხელსაყვე, შუბლგახსნილი, ღიმილს არ იშორებდა ბავშვზე. გვერდით მომიჯდა და ხმამაღლა თქვა:

— ჩემი ქეთინო იყო. აქ არ შემომყვანა. მეჩქარებაო. ამდამ ბაკურიანში მიყავს ბავშვები. რამდენი რამ მომიტანა — მომაწოდა და მიაწოდა ყველას. — აბა, რად მინდოდა ამდენი რამ. ენანება, რომ აქ მტოვებს. ორი თვეა აქა ვარ. ცუდად ვიყავი, რომ მომიყვანეს. ახლა უკვე ფეხზე დამაყენეს. მოვმჯობინდი. გუშინ ექიმმა მითხრა, — თითქოს სუნთქვა შეეკრა, წუთით შეჩერდა, — ორ-სამ დღეში უნდა გაეწეოთ, მკურნალობა უკვე დაგასრულეთო. მეც აღარ შემიძლია, — გამოლიმა საცობდები ღიმილით, — სახლი მომენატრა, ოჯახი. კარგია შენი საკუთარი კუთხე, შენიანები, ახლობლები.

ჩაფიქრდა, თითქოს დაავიწყდა, რომ შესაუბრებოდა. ერთბაშად გამოფხიზლდა.

— ჰოდა, წავალ ორ დღეში, მხოლოდ რომელთან წავალ, არ ვიცი. ზევ ახალი წელიწადია. ვნახავ, როგორ აჯობებს, — თითქოს შეეკითხა თავს.

— დაძინებია, — ჩუმად მითხრა და ჩემ მეზობელზე მიმითითა, რომელმაც მის მიახლოებისთანავე პირი კედლისკენ იბრუნა.

— თქვენ დიდხანს დარჩებით? — შემეკითხა ჩურჩულით.

— მე ჯერ კიდევ მომიხდება აქ ყოფნა.

...დილიდან თოვდა, თოვდა გადაუღებლად. 31 დეკემბერი იყო. პალატაში სამნილა დავრჩით. ორ იანვრამდე ჩვენთან არავის მიიღებდნენ.

ის ფეხაკრეფით მომიხლოვდა, თითქოს ვიღაცის ერიდებოდა, ჩუმად მითხრა:

— დღეს მივიდივარ. ოღონდ საღამოს წავალ... დღეს არც კი მელიან. გაეხარდებათ.

საღამო იყო. თოვდა განუწყვეტელი. მთელი ქალაქი თოვლის კორიანტელში იყო გახვეული.

ანა გამომემშვიდობა. მე ფანჯარასთან მივედი. ფანჯარა სადარბაზო კარს დაჭკურებდა. დავინახე, კიბე ჩაათავა, გაჩერდა და კედელს მიეყრდნო. მერე ცას აპხედა. გახედა ქუჩას. გადადგა ნაბიჯი და ისევ შეჩერდა. ცხვირსასოცი მიიფარა თვალებზე. ასე იყო დიდხანს გარინდებული. თავდახრილმა მარჯვნივ გაუხვია და შეყოყმანდა, შეჩერდა. თოვლი კი უხვად მოდიოდა. მისი თაღზი თავმალი თეთრად აციმციმდა ელექტრონის შუქზე. მარცხნივ შებრუნდა, კედელს აგერა და ანგარიშმიუცემლად გაჰყვა გზას.

# ყველაზე პატარა

— მამიდა, დედიკო სად არის? — შეწუხებული ხმით იკითხა პატარა დათუნამ, ხალიშიდან თავი ასწია და თვალელები მოიფშვინტა. წინათ როგორც კი თვალს აახედდა, დედის მომღიმარე სახეს დაინახავდა ხოლმე. ახლა რომ ვერ დაინახა, შეშინებულია წამოიძახა:

— დედიკო!

— დედიკომ პატარა ბაია უნდა მოიყვანოს, შვილო, — შეეშველა მამიდას ბებო. ბებომ ბიჭს ტანსაცმელი მოუმზადა და ათასი სააღერსო სიტყვები შეამზადა, მაგრამ...

— ბაია! — უცბად გამოფხიზლდა ბიჭი. — ის ბაია ჩვენი იქნება, ბებო, ჩვენთან იცხოვრებს?

— ის შენი პატარა დაიკო იქნება!

— ჩემი პატარა დაიკო! — სიამოვნებით ჩაიღიმა ბიჭმა.

ბებომ დათუნას ჩააცვა, ხელბირის დახანანად სამზარეულოში გაიყვანა, ქოჩორი

ლამაზად გადაუვარცხნა და სასადილო ოთახში შეუძღვა.

იქ მამიდა დაუხვდა ღიმილით.

— გაიდვიძე, დათუნია? — ბიჭმა თავი დინჯად დაუქინა და სუფრას გადახედა.

— უბ, უაი რა გემრიელი საუზმე მოუმზადებია მამიდას! — ღიმილით თქვა ბებომ და მაგიდას მიუჭდა. დათუნაც ჩამოჭდა თავის ხალიშიან სკამზე, მერე ჟურნალი მოითხოვა, რომელშიც ბავთიანი გოგონა ეხატა. მას ერთ ხელში დედოფალა ეჭირა, მეორეში — ბურთი. დახედა მან გოგონას, ნახატს პატარა თითები მიუთათუნა.

— დედამ ესეთი ბაია უნდა მოიყვანოს, ბები? დედოფალაც და ბურთიც ესეთი ექნება?

— არა, შვილიკო, შეიძლება დედოფალა არ ჰქონდეს, არც ბურთი.

— შე ვაჩუქებ ჩემს დედოფალას და ბურთს, ბო, ბებო?

## ნაირა ნიშარაძე

### მამიკოს ვაჟი

მუდამ კოხტად დაბაკუნობს, თეთრი კაბა აცვია.

„დედა“, „მამა“ და „ბებია“ ჯერ ძლივს დაუმარცვლია.

— მომე, — ამბობს ყველაფერზე, — ეს ჩემი და პაწია, ჩემი ჭრელი კალმისტარი, საით გაუტაცნია...

„დედა-ენაც“ წაუღია აი, ხედავთ, რა მიყო! არ დახიოს, არ დაკარგოს, თორემ ვეტყვი მამიკოს...

### გურამ კლდიაშვილი

### ნ ა ბ ლ ი

აბლი, ბაბლი, აბლი, ტყეში ვნახე წაბლი, ავიღე და უეცრად ხელში შემრჩა ზღარბი.

### სუბკუბადა რაღი

მუდამ ტყეში დადის. ცუგრუმელა დალი. როცა ნახავს სოკოს, ჩაცუცქდება გოგო, თავზე ჭრელი ქუდი თვითონა ჰგავს სოკოს.

### ბოჩოლა

ჩემი კარგი ბოჩოლა გოჩამ ჯოგთან მოდენა, შუბლზე თეთრი ხალი აქვს, — სავსე მთვარის ოდენა.

### ღარაჯან აბაშიძე

### კოსმონავი გეა

მარსზე მივფრინავ ნერგებით, ფიჭვი და ნაძვი ვახარო, თუ დამხვდა სარეველა რამ გავასუფთაო, ავთხარო.

მინდა გაზაფხულს იქ შეხვდნენ ია, ვარდი და ენძელა. თუმცა შორსაა ჩვენიდან, მაგრამ გზა სულ არ მეძნელა.

# მურაბის კოვზი

— მობრძანდით, მობრძანდით...— შეეგება მურთაზის დედა ექიმს და ოთახში შეუძღვა. მურთაზი ქათქათა ლოგინში იწვა, თვალელები ოღნავ მოეჭუტა და ლოყები წითელი ვაშლივით უღვიოდა. ბიჭი დამორჩილდა ექიმს. ღრმად სუნთქავდა, ორჯერ დაახველა კიდეც პირი დაალო.

— ა-ა-... გაიმეორე!— ეუბნებოდა ექიმი.

— ა-ა-... — იმეორებდა მურთაზი.

— გაციებულია, — თქვა ექიმმა.

— მცხებლა, — ჩურჩულებდა მურთაზი.

მალე წამლები მოიტანეს. მურთაზს სიტყვა არ უთქვამს, ისე გადაუღებდა აბები! ხოლო წამალზე, რომელსაც ეწერა „სუფრის კოვზით სამჯერ“, — გაჭიუტდა.

— არ დავლევ სუფრის კოვზით, არ მინდა, — ტიროდა ბიჭუნა და ჭირვეულობდა.

— დედა გენაცვალოს, ხომ გახსოვს რა თქვა ექიმმა: „თუ წამლებს დალევი, მალე მორჩება და საბავშვო ბაღში წავაო...“

— არ მინდა სუფრის კოვზით, არ დავლევ! — ტიროდა ბიჭი.

— მურაბის კოვზით დალიე, ბებოს სიცოცხლე, — ჩაერია საუბარში ელენე ბებო. მურთაზს მურაბა ისე უყვარდა, რომ მისი კოვზით წამლის დაღვევაზე უარი ვეღარ თქვა.

ბელა კაკიბაძე

# ჩვენნი გზის გზიკი

საქართველო  
საქართველო

**დედები** ხშირად ქეთევანს არქმევენ შვილებს გურიისში. ეს იმიტომ, რომ მათი შვილები ქეთევანის ხელში დაიბადნენ.

ექიმი ქეთევან მგელაძე გაიზარდა ბახეში, პედაგოგების ოჯახში. მშობლები შვილის კარგ მომავალზე ფიქრობდნენ, რომ პროგრესული აზრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისათვის გურიიდან განდევნეს ქეთევანის მამა და იგი აჭარის შორეულ სოფელში, ხულოში გადაახინეს. რომ წამოიზარდა, ქეთევან მგელაძე ბათუმის ქალთა გიმნაზიაში შევიდა. მან უმაღლესი განათლება თბილისში მიიღო. ის პირველი ქალი იყო ბათუმში, რომელმაც ქართული უნივერსიტეტი დაამთავრა. გარემოებამ მალე მასწავლებლის გაიწვია სულ ახალგაზრდა გინეკოლოგი. და ყოველი დღე იყო ერთნაირად დაძაბული. სიკვდილის შიშში, ახალი სიცოცხლის მოლოდინში თენდებოდა ღილა, ღამდებოდა დღე.

„რა ნგრევით იბადება ადამიანი, მთელი ორგანიზმის ნგრევით. ნეტა, რა არის ეს ტკივილი, ასეთი საშინელი!“ — ფიქრობდა იმ დამითაც

მძიმედ სუნთქავდა და კაბიდან ოდნავ გამოწვეული მუცელი მოუჩანდა.

მოულოდნელად კაკუნი და ძახილი მოისმა:

— ექიმო, მიშველეთ, ექიმო!

ორივენი შეკრთნენ. გარეთ სუსხიანი ზამთრის დამე იდგა. ამ სიჩუმეში, ცივ ჰაერზე ადამიანის ხმა სასოწარკვეთილად ისმოდა. ქმარი წამოდგა იმ იმედით, რომ იქნებ ავადმყოფს მე ვჭირდებო. მაგრამ დამის სტრუმარმა ფსიქიატრი ტიტე ღლოსტის მაგიერ გინეკოლოგი ქეთევან მგელაძე იკითხა.

თმას ცეცხლთან გაშრობა მოესწრო და ქეთევანმა ის საჩქაროდ მაღლა აიწია. ჩანთაში იარაღები ქმარმა ჩაულაგა და მხარზე გადაკიდა. მძიმე გულით დაარწა სახლში მამაკაცი და ფეხმძიმე ექიმი ოც კილომეტრზე გაისტუმრა.

სოფელი კონტაკთი კარგა შორსაა ცენტრიდან. ამინდი ძალიან ცუდია და ცხენები მიდიან მძიმედ. მშობიარე ცხოვრობს „კატის ციხის“ უბანში და მეგზური აჩქარებს ექიმს:

— ჩქარა, თქვენნი ტირიმე, თორემ დავიგვიანეთ.

ცუდი ამინდია და ცხენები არ ჩქარობენ, მე-

სისხლს აჩერებს. ეს კივილი მოდის სოფლიდან რომელიც უკვე ახლოს არის.

მეგზური ჰკარგავს ვაჟკაცობას და თავში იცემს ხელს:

— დაგვარე ცოლი, დაგვარე, — ღრიალებს და არ ესმის, რას ეუბნება ახალგაზრდა ექიმი.

— ერთი ქალი კივის, ეს არა ჰგავს შეცხადებას. მშობიარე ცოცხალია და ის კივის, წაგიდეთ ჩქარა.

— ექიმი მომყავს, — ყვირის მეგზური ღომივით და ქეთევანს ყურები უსკდება. ხმა მიდის მშობიარის ქოსამდე.

ოცდაათი კაცი აბრიალებული მაშალებით ეგებება გზაზე და თმამოშლილი ქეთევანი ციდან მოსული ანგელოზივით მიუძღვება წინ. უკან სიმიწილის ცეცხლმოკიდებული ნაჭურალები ანათებენ და კეთილი საქმისათვის გზას ულოცავენ.

ეს იყო მძიმე დამე, ძალიან მძიმე. დაიბადა ბავშვი ექიმის ჩაურევით, მამების მეშვეობით.

გამთენიისას, როცა მშობიარე სულ დაწყნარდა, ექიმმა ძლივს მიაღწია ცარიელ საწოლამდე და მთელი დღე ეძინა.

ხოლო, როცა ქეთევანს შვილები შეეძინა, ის სულ სხვანაირი ექიმი გახდა. ის ისევე უსტად ხმარობდა ლანცეტს, უსტად ადებდა ნაკერებს, მაგრამ მან უკვე იცოდა მშობიარის ფიქრები: „მოგვედები? არ მინდა სიკვდილი!...“ და ქეთევანი ებრძოდა ამ ფიქრებს, რომ მისთვის ხელი არ შეეშალათ, რომ მშობიარე ყოფილიყო ჯანსაღად განწყობილი, სიცოცხლის სურვილით და ძალით საფეხე.

ქეთევანს რომ შვილები შეეძინა, მერე გაიგო, რა მძიმე იყო ამბის მომლოდინე მამაკაცის ზურგი, რომელიც კედელთან იდგა მოხრილი. ექიმის ხელის შეხებით სწორდებოდა ზურგი და ცოლის გადარჩენით გახარებული ქმარი იქვე, კედელთან სტოვებდა ამ მძიმე ტვირთს... ექიმმა იცოდა, რას ნიშნავდა ეს წუთები მშობიარის ქმრისათვის და რა დიდი ღონე იყო, მოხრილი ადამიანის ზურგზე მიკარებულ ხელებში.

როცა ქეთევანს შვილები შეეძინა, მან გაიგო როგორ მოქმედებდა მშობიარეზე თეთრი პალატა, სიჩუმე და აღურსიანი „გენაცავალები“.

გურიამი ბევრია ქეთევანი და ეს იმიტომ, რომ ქეთევან მგელაძე განთქმული ექიმი. რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ქეთევან მგელაძე ატარებს შრომის წითელი დროშის ორდენს, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისი დიდი ღირსება ისიც არის,



ქეთევანი მეუღლესთან ერთად

ქეთევანი. ის ცეცხლის პირას იჯდა და თმას იფარცხნიდა. ოთახის მეორე კუთხიდან მას უკურებდა ქმარი. ცოლი ფიქრიდან არ გამოდიოდა და ტიტე ვრძნობდა, რომ ახლა ხელი არ უნდა შეეშალა მისთვის. ოთახში მატო იყვნენ, არსად ჩანდნენ ბავშვები, მაგრამ ახალგაზრდა კოლ-ქმარი ელოდა შვილის მოსვლას... ქალი

რე სულ ჩერდებიან და ჯიუტად ფრუტუნებენ. წინ, გზაზე ახლადრამოწილი ზავია და „კატის ციხის“ უბანში მშობიარე ქალის ქმარი ხმამაღლა კვნესის. ექიმი მასთან ერთად ჩამოდის ცხენიდან და ისინი მისობავენ.

გულისწამლები კივილი ჰკვეთს ჰაერს და



რომ შესანიშნავი შვილები ჰყავს — რატი ლლონტი ბაჭყალია საავადმყოფოს განყოფილების გამგეა, ნანა კი ბიოლოგი, მეცნიერი-მუშაკი. ქეთევანს ბევრჯერ უთქვამს სინანული იმის გამო, რომ მას მხოლოდ ორი შვილი ჰყავს.

ის იცნობს ყოველ ეზოს ჯუმათში, შრომაში, ძიმიტში, ნარიჯაში. მას ყველა ეზოში გაუვილია. მახარაძის სამოცსაწლოიანი სამშობიარო სახლი განა კმარა მაშინ, როცა გურიიში იბადებოდა მალხაზები, ამირანები, თინათინები. ქეთევანს მალე პენსიაში მოუწვეს გასვლა და ისე არ უნდა წაეიდეს, რომ ასალი სამშობიარო სახლის კედლები არ დასტოვოს. განა არ ეკადრებოდა

ასეთი სახლი მოწინავე ჩაის მკრეფავენს, ყველას, ვინც გურიის სოფლებში შრომობს!

— ხომ ლამაზია გურია! ამ სერებზე სიარული არასოდეს მწყინდება, — ამბობს ქეთევანი და მახარაძის საავადმყოფოდან ხან ერთი სოფლისკენ მიდის და ხან მეორე სოფლისაკენ.


ასლა უკეთესა საქმე ასლა ოც კილომეტრს არ გადის ფეხით. ასლა ისე მომრავლდნენ მანქანები, რომ მანქანებით მოჰყავთ შშობიარეები საავადმყოფოში. სშირად დგას სოფელ შრომის კოლმეურნეობის მანქანა სამშობიარო სახლთან. ქეთევანს სშირად უნახავს საქსთან თვითონ თავმჯდომარე — მიხაკო ორავგელიძე, რომელსაც

ახარებს სოფელში ბავშვის დაბადება, მერაიეთა ოჯახის ბედნიერება.

ქეთევანი ბევრია გურიაში და ეს არის ყველაზე დიდი პატივისცემა ექიმისათვის. ექიმმა იცის, რომ მოვა დღე, როცა ერთხელ კიდევ დაბანს ხელებს გულდაგულ, გასინჯავს ავადმყოფს, აიყვანს ახალშობილს და გამოეთხოვება საავადმყოფოს, თავის საქმეს. ზინ იცის, იქნებ მაშინაც ქეთევანი დაარქვან ასალშობილს.

ნეტა, ვინ იქნება უკანასკნელი ქეთევანი!

ლია პაპაბაძე



აკადემია ასლადდარსებული იყო, როცა გიშრისთმინამა გოგონამ მისი კარი შეაღო და მერე, სასწავლო ნაწილის მდივნობიდან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭებამდე საინტერესო და რთული შემოქმედებითი გზა გაწვლო.

ამხანაგებთან ერთად ექსკურსიაზე წასული მოკადრებულ შვიტქეროდა გელათს, მცხეთის ჯვარს, სვეტიცხოველს, და მეცხრეკლასელმა გოგონამ უკვე დაბეჯითებით გადაწყვიტა ხელოვნებაში ეცადა ბედი.


თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაიწყო ჯერ ქართული და შემდეგ რუსული და დასავლეთ ევროპული ხელოვნების ისტორიის შესწავლა. ნიჭიერი ქალი საფუძვლიანად ეუფლება ქართული ხელოვნების ყველა დარგს.

ბეჯით მეცადინეობაში გადიოდა წლები...

ოცდაათ წელზე მეტია, რაც ალექსანდრა წერეთელი სამხატვრო აკადემიის პედაგოგია. დაუღალავი შრომით, ოსტატობით, მან სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მისი აღზრდილები მადლიერებით იგონებენ ალექსანდრას ლექციებს საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების ისტორიის, ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, კერამიკის და არქიტექტურის შესახებ, საუბრებს ბეშკენ და ბეჟა ოპიზარებზე, რუბენსა და ველასკესზე, რემბრანტსა და ტიციანზე, რაფაელსა და რუბინზე, როდენსა და ნიკოლაძეზე, მ. თოიძეზე, ციმაკურიძესა და გაბაშვილზე.

იმ მიზნით, რომ ლექციები პედაგოგიურად გამართული ყოფილიყო, ალექსანდრამ სპეციალურად შეისწავლა კორფის, უშინსკის, გოგებაშვილის პედაგოგია და მათი დებულებების ოსტატური გამოყენებით მასალის გადაცემა გააუმჯობესა.

ალექსანდრა წერეთელი პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად მეცნიერულ-კვლევით მუშაობასაც ეწევა. ქართულ ენაზე თარგმნის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს, უცხოური ხელოვნების უნიკალურ ნაწარმოებებს. 1958 წელს დისერტაცია დაიცვა ქართული ქანდაკების პორტრეტულ თანრზე და ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. მალე გამოვა მისი მონოგრაფია პირველ ქართველ მოქანდაკე ქალზე — ნინო წერეთელზე. ალექსანდრამ ფრანგულიდან ქართულად თარგმნა რომენ როლანის მონოგრაფია მიქელ ანჯელოზე.



ღვაწლმოსილი პედაგოგი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1948 წლიდან დღემდე მას სისტემატურად ირჩევენ საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად.

ა. წერეთელის სახით, მრავალთა შორის, თბილისის სამხატვრო აკადემიის კოლექტივს ჰყავს ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე, ახალგაზრდობის ჭეშმარიტი აღმზრდელი.

სიმონ ნაციაშვილი



რამა ჩვენს ბავშვებს დაუტოვა, მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში.

მარიამ ფილიპეს ასული ლაიშვილი დაიბადა 1914 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. სწავლობდა ამბროლაურის საშუალო სკოლაში. 1928 წელს თბილისში გადმოვიდა. წარმატებით დაამთავრა საგზაო-სამშენებლო ტექნიკუმი და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. 1939 წელს წარჩინებით დაამთავრა ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

მარიამ ლაიშვილს თავიდანვე იტაცებდა სკოლა და ბავშვები. ამიტომ პედაგოგად დაიწყო მუშაობა. ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა საშუალო სკოლაში.

სკოლამ, ბავშვებთან სიახლოვემ ბავშვების უნა ასწავლა ახალგაზრდა ქალს, შინაგანი მოწოდების ხმამ კი კალამი ააღებინა ხელში. მარიამი ბევრს მუშაობდა, რომ მხატვრული საბავშვო ლიტერატურის შემოქმედებითაც დახმარებოდა სკოლას, პედაგოგებს ბავშვების სწორ აღზრდაში.

საბავშვო ლიტერატურა მწერლისაგან მოითხოვს

სოფლის თავქორობა ტყეში სოკოსა და თხილის საკრეფად წასულ პატარებს, მშობლების გვერდით მოფუსფუსე ბავშვებს, დაუზარელ-მორმედ ბიჭებს, ოჯახის პატარა დიასახლისებს და კიდევ მოსთვლის კიდევ რამდენ რამეს ხედავს მარიამის დაკვირვებულ თვალი ბავშვისა და სოფლის ცხოვრებაში.

მარიამ ლაიშვილის მოთხრობები არ არის მშრალი, დიდაქტიური. მათში აღმზრდელით მომენტებთან შესანიშნავადაა შერწყმული მხატვრული გამოცემის ხერხები. იგი ბავშვებს წარსულშიც ასეუბნებს, უამბობს რეგულაციამდელ საზოგადოებაზე, როდესაც სკოლაში მხოლოდ დიდგვარიანი წოდებისა და მდიდრების შვილები სწავლობდნენ. ასეთია მისი „ბაბუა და შვილიშვილები“. აქვე, შავნული წარსულის ისტორიის გვერდით, მწერალი გვიხატავს ბედნიერი, ლაღი საბჭოთა ბავშვების შინაარსიან ცხოვრებას. მწერალი შთააგონებს ბავშვებს ურთიერთშორის კარგ დამოკიდებულებას, მეგობრობას. ამ თემაზე გაშლილი მისი მშვენიერი მოთხრობა „თხილაობა“ და სხვა.

მარიამი ურჩევს მოსწავლეებს დაეხმარონ უფ-

# მარიამ ლაიშვილი

ბევრი კარგი საბავშვო მოთხრობა დაიწერა ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში. ბევრ კარგ საბავშვო წიგნებს ვიცნობთ დღეს, რომელსაც ალტაცებთ მოყვარვართ და ვამბობთ: რა დიდი ინტუიციის მქონეა ის საბავშვო მწერალი, რომელსაც შეუძლია ასე კარგად გახსნას ბავშვის სულიერი სამკარო. სადაო არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ასეთი კატეგორიის ახალგაზრდა მწერალთა თაობას ეკუთვნოდა მარიამ ლაიშვილი.

ის თავიდანვე საოცრად მორიდებული და მორცხვი იყო, მუდამ ყოყმანობდა, არ სჯეროდა თავის თავის, ჯერ სრულყოფილად არ ეჩვენებოდა თავისი პატარა ჩანაფიქრი და ნააზრევი; ვრიდებოდა საზოგადოებაში მისი გამოტანა, მაგრამ გაიმარჯვა ახალგაზრდა ნიჭიერი, მომავალმა მწერალმა ქალმა: მისი თბილი, ფაქიზი და გულწრფელი მოთხრობები გულისხმიერებით და სიყვარულით მიიღო ნორჩმა საბჭოთა მკითხველმა.

არავინ იცის, რამდენ საინტერესო ნაწარმოებს შექმნიდა იგი, მაგრამ ერთი კი ფაქტია: მარიამ ლაიშვილი დაჯილდოებული იყო საბავშვო მწერლისათვის საჭირო მონაცემებით, მისი ყველა საბავშვო მოთხრობა ხალასია, თავისუფალია ხელოვნურობისაგან, ლაღია, სუფთა და ისეთივე სპექტაკლი, როგორც თვით ბავშვის გულუბრყვილო ბუნება.

სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ფრთების გაშლა, ვერ მოასწრო ეთქვა ყველაფერი, რაც აღეშლებდა, რაც თავისი განვლილი ბავშვობის და ყრმობის გზაზე სიცოცხლის სიყვარულსა და ზრდილობას ასწავლიდა, მაგრამ ის, რაც დღეს მა-

დიდ შრომას და დაკვირვებას და, რაც მთავარია, ფაქიზ სულს.

ეს ყველაფერი ჰქონდა მარიამ ლაიშვილს, გარდა ჯანმრთელობისა. ფიზიკურად იგი სუსტი იყო, რაც ხელს უშლიდა ემუშავა რაციონალურად, ნაყოფიერად. უკანასკნელი წლები მან ლონგინში გაატარა, ბევრი თავისი ლამაზი საბავშვო მოთხრობა მწოლიარემ დასწერა. ის მხოლოდ ერთხელ იყო გამომცემლობაში, მაგრამ მისი გული, მისი ფიქრი და გონება მუდამ ჟურნალების — „პიონერის“ და „დილას“ ინტერესებს დასტრიალებდა.

მარიამ ლაიშვილი ოჯახის უფროსი ქალიშვილი იყო. მთელი ოჯახის სიმძიმე მას გადაჰქონდა საკუთარ ზურგზე. ბავშვობიდანვე მშობლების იშვიათი მოყვარული და მორჩილი, შემდეგშიც ხშირად მოხუც მშობლებთან ცხოვრობდა. ამიტომ მარიამი ზედმიწევნით კარგად იცნობდა სოფელს. მის საბავშვო მოთხრობებში სწორედ ჩვენი სოფელია დანახული, მწერლის მახვილი, იშვიათი მხატვრული თვალთ.

მარიამ ლაიშვილი შესანიშნავად ხატავს ახალი სოფლის ყოველ კუთხეს და კუნძულს, სიცოცხლითა და სინარულით აღსავსე საბჭოთა ბავშვებს, რომლებიც უფროსებთან ერთად ჩაბმულან შრომის ფერხულში, ტრაქტორებით გადახნულ ყამირს, საკოლმეურნეო მინდვრებზე მზისგან დაბარწულ გოგო-ბიჭებს... მაგრამ მარიამის საბავშვო მოთხრობების მთავარი ძარღვი მაინც სკოლაა, მთელი თავისი შინაგანი ცხოვრებით.

მარიამი გვიხატავს ფრიადოსან მოსწავლეებს,

როსებს ცხოველებისა და შინაური ფრინველების მოვლაში. „ნიშა ხბო“, „ისევ ქღურტულით შეესიენენ“, „სარუქარი“ დიდი სიფაქიზით და უშუალოდ დაწერილი საბავშვო მოთხრობებია. ისინი შთააგონებს ჩვენს ნორჩ თაობას თავაზიანობას, უფროსებისადმი პატივისცემას, ასწავლის, რომ საბჭოთა ბავშვები საუკეთესო მაგალითის მიმცემნი უნდა იყვნენ სკოლასა და საზოგადოებაში.

1954 წელს მარიამ ლაიშვილმა თავისი ამხანაგებისა და მეგობრების რჩევით ჟურნალ „დილას“ გამოსაქვეყნებლად გაუზარა თავისი ერთი მოთხრობა: „თხილაობა“. ამ მოთხრობის წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ იგი სამჯერ დაიბეჭდა. ამას მალე მისი დანარჩენი მოთხრობებიც მოჰყვა.

1958 წელს „საბლიტგამმა“ გამოსცა მ. ლაიშვილის საბავშვო მოთხრობების წიგნი „თხილაობა“, რომელშიც 12 პატარ-პატარა მოთხრობა შევიდა. წიგნი ლამაზად იყო გაფორმებული და ჩვენი პატარების სამართლიანი სიყვარული დამისახურა.

მარიამი გარდაიცვალა თავისი ნიჭის ზრდისა და გაფურჩქნის პერიოდში, სრულიად ახალგაზრდა. მწერალ ქალს ბევრი საინტერესო საბავშვო მოთხრობა დარჩა გამოუქვეყნებელი. ამ მოთხრობებიდან შეიძლება შეიკრას მშვენიერი წიგნი. გამომცემლობა „ნაკადული“ კარგ საქმეს გააკეთებს თუ ნორჩ მკითხველებს არ დაუკარგავს მარიამ ლაიშვილის მოთხრობებს.

სინო ჩინლაძე

# ერო 1965 წელს

ახლა მოდა რამდენადმე „დამშვიდა“, მახ მიიღო ბუნებრივი ფორმა, მკაფიო, განსაზღვრული ხაზებით. სისადავე შერწყმული ფანტაზიასთან — აი, როგორ შეიძლება დაეახსიანოთ დღევანდელი მოდა. რადგან სილუეტს ცვლილება არ განუცდია, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მხატვარმა-მოდელიორებმა მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია მიმართეს დეტალების მრავალფეროვნებისკენ, ისინი ეძებენ ფერთა ახალ შეხამებებს, ახდენენ სხვადასხვა ფაქტურისა და ფერის ქსოვილთა კომბინირებას.

## პალტოები:

გაბატონებულია ნახევრადგამოყვანილი სილუეტი.

ქსოვილები — მრავალფაქტურიაანი, კუბოკრული, ნაირნაირად მოხატული.

ფერები — ბაჯალო ოქროს ფერის ყველა ტონი, ყავისფერი ტონების გამა, ყოველნაირი თეთრი (რძის ფერი, თოვის, კვარცხის ნაჭუქის ფერი და ა. შ.); ხასხასა წითელი როგორც თბილი, ისე ცივი ელფერი; ლურჯი, თიხის ფერი, ნაძვისა და ფიჭვის ხის ქერქის ფერი. ზამთრის პალტოს საყველო დინდიანია, ოღონდ არა გრძელი ხაოთი.

## აოსტუმები:

სილუეტი — როგორც სულ სწორი, სპორტული, ისე ნახევრად გამოყვანილი. ბევრი ღილი. ერთბორტიანი, უფრო ხშირად ორბორტიანი შესაკრავით. ზედნადები ან გაჭრილი სარქველიანი (კლაპანიანი) ჯიბებით. ჯიბების და სარქველების ფორმა სხვადასხვანაირია.

ქსოვილები — მსუბუქი მუდი, ტრიკო, ბუკლე, სინთეტიკანარევი და ტრიკოტაჟის სპეციალური საკოსტუმე ქსოვილები.

ფერები — მწვანე, ლურჯი, ყავისფერი, ჩაის ვარდის ფერი, ოქროს ფერი, ქლიავისფერი.


## ბანაწყობი:

ნაქსოვი ზონარი, ნაქარგი (შესაკერი ქსოვილის ფერი), ბგწვი, ტყავი, ტრიკოტაჟი.

მოდაშია თეთრი საყველო. ის ამშვენებს არა მარტო ყოველდღიურ და სამსახურში სახმარ კაბასა და კოსტუმს, არამედ საღამოს ტელეტსაც. საყველოს ფორმა გამოსასვლელ კაბაზე ახალი და ლამაზია, მოგვაგონებს დიდრონ ფურცლებს. მზადდება მსუბუქი აბრეშუმის ქსოვილებისა და ხელოვნური ყვავილის ქსოვილებისაგან; აგრეთვე ორგანდის, შიფონის, კაპრონისა და პოლინისაგან.



## ფხსაცმელი:

ქუჩაში გამოსასვლელი ფხსაცმელი უფრო მკვიდრია. საშუალო სიმაღლის, შედარებით სქელი ქუსლით. წვრილი, ზვიდან ოდნავ ჩაჭყლეთილი ცხვირით. მოდაშია დაბალი დახურული წალები. გასული სეზონიდან გადმოვიდა და ახლაც მოდაში რჩება ქუსლებიანი ნახევარჩექმა და ჩექმა.



## წინაღები:

სიახლეა — ნაქსოვი წინაღები (ჩულქები), შალის ან შალნარევი აბრეშუმისა, რელიეფურად ნაქსოვი (ოღონდ ძაფი წვრილი). წინაღები — გოლფი კარგად ეხამება სპორტულ ტანსაცმელს. ფერთა შეხამება: დაწყებული რუხ მოლურჯო ტონებიდან მომწვანო-მოყავისფრომდე (ეს უხდება ყოველდღიურ ტანსაცმელს); თამბაქოსფერი — მწვანემდე და მოწითალო-ოქროსფრამდე — სპორტულ ტანსაცმელთან.



## ხელჩანთები:

აქ უზომო მრავალფეროვნებაა. სიახლეა — საშუალო ზომის, მუცლიანი ხელჩანთები გრძელ ღვედზე ან მოკლე მაგარი ხელსაქი-ლით.

**ჰამრეზი:**

მოდაში ტყავის ფართო და ვიწრო, ბრტყელი და რბილი, აგრეთვე თამასა-ჰამრეზი.

**სამაკაულეზი:**

ყოველდღიურ სატარებლად მოდაში რჩება ხის და არაბრტყელია ლითონის სამაკაულეზი. მიწვეები და გულსაბნევი იხმარება მხოლოდ საღამოს. მოდაში შემოდის ბრტყელი, არადაკიდებული საყურეები.




**ჰარცხნილობა:**

ქალიშვილების სასიხარულოდ, წარსულს ჩაბარდა თმის აწევის გულის გამწყალბეული პროცედურები. ვარცხნილობა არაჩვეულებრივად ბუნებრივია. კვლავ შემოვიდა მოდაში მოკლე შეჭრილი სწორი თმა. საღამოს ვარცხნილობა ასეთია: კეფამდე საღად გადავარცხნილი, კეფაზე კი ლამაზად დაწყობილი კულულები, ზოგჯერ ნაწნავიც. ჩვენს ქალიშვილებს, მოსწონთ ვარცხნილობის დამშვენება ლენტებით და პატარა ბაფთებით, ამ დეტალებს კი დიდი მნიშვნელობა აქვთ მთლიანად ჩაცმულობისათვის.

**კაპეზი:**

მოდაში წინ ტანზე მომდგარი, ზურგზე თავისუფალი კაბა. ამ უქანსკენის წყალობით სილუეტი ინარჩუნებს სიმსუბუქეს.

შეინიშნება საყელოების, სამაჯეებისა და შესაკრავების მრავალფეროვნება.



**ქსოვილები:**

აქ არჩევანი განუსაზღვრელია, ჭარბობს საპალტოედ განკუთვნილი, მაგრამ მსუბუქი და რბილი ქსოვილები.

**თავსამაკაული:**

მოდაში სხვადასხვა ფორმის ბერეტები, უფრო ხშირად ტრიკოტაჟის, მსხვილად ნაქსოვი. მოდაში რჩება ბეწვის ქუდებიც.

პოპულარულია ბეწვშემოვლებული თავსაფრები პალტოს ქსოვილისაგან.

დიდი ცვლილება მამაკაცების მოდაში არ

შეინიშნება, ოღონდ პიჯაკი შესამჩნევად დაგრძელდა და წელს უფრო მოადგა. შარვალი მთელ სიგრძეზე ვიწროა, ქვევით კი ოდნავ გაფართოებულია. პალტო—სწორი სილუეტის, ფარული შესაბნევით, უქამროდ.

საგრძობლად შემსუბუქდა მამაკაცის ტანსაცმელი, გაქრა პალტოსა და კოსტუმის გახევებული მხრები, დარბილდა გულმკერდის არეც.

ფერები: უფრო მეტად ვერცხლისფერ-ნაცრისფერი გამა, ყვისფერი, მუქი მწვანე, ქლიავისფერი, ბორღო.






# ქალი

# ლარნაკი



ოთახის შუაგულში, დაბალ მაგიდაზე ლარნაკი იდგა, ჩვეულებრივი, ქაშანურის ლარნაკი, დაფარული თეთრი ლაქით. ისტატს ლარნაკის ყელზე სხვადასხვა ფერისა და საკმაოდ არაუხეტი ფორმის რგოლები დაეხატა. ალბათ ამიტომ იყო, რომ როგორც ყვავილებიც არ უნდა ჩაგეწყოთ შიგ, ისინი ყოველთვის ეხამებოდნენ ლარნაკის მონატულობას.

ლარნაკის ფართო ყელი შეგემლოთ დაგეშვებინათ იასამნის რამდენიმე რტოთი, გეორგინებით, გულუფეთელებით ან მინდვრის ყვავილების თაიგულით. ლარნაკი ყვავილებში იკარგებოდა თითქმის და ყველა ალტაცებაში მოჰყავდა;



მნატვარი ლ. ხატელიშვილი

— რა საუცხოო ყვავილებია მშვენიერი თაიგულია!

წამთარში დიასახლისი ქაშანურის ლარნაკში ნაძვის შტოებს აწყობდა, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ ჭრელ ასტრებს.

წიგნების კარადაზე მეორე ლარნაკი იდგა: მაღალი, ყელყარყარა, დამწაღებული თეთრი ფაიფურისაგან, დაფარული შავი ჩინური ლაქით. შის ცალ მხარეზე დახელოვნებულ მხატვარს მშვენიერი ჯადვარი დაეხატა.

ამ ლარნაკში ჩასაწყობად დიასახლისი ყოველთვის ძვირფას ყვავილებს ყიდულობდა, რომლებიც თითქოს ამ საუცხოო ლარნაკისთვის იყვნენ ჭვეყნად გაჩენილი: ტიტა, ნაწი ნარგისები თუ რამდენიმე ვარდი სამართლიანად ექიშებოდნენ ლარნაკზე დახატულ ყვავილებს.

სტუმრები ყურადღებით ათვალიერებდნენ ლარნაკს, ალტაცებაში მოდიოდნენ წედ დახატული მშვენიერი ყვავილებით, მაღლა სწევდნენ მის ჭვეხადგამს, რომ განთქმული ფაბრიკის იარაღი წაეკითხათ. მასში მოთავსებული ცოცხალი ყვავილებით დატკობა კი ავიწყდებოდათ. ეს ყვავილები ორ-სამ დღეში უკვე ჭკნობას იწყებდნენ; ფოთლები სცივოდათ ტოტებს, თეთრ ნარგისებს სილამაზე უკრთებოდათ, ვარდებიც ეთხოვებოდნენ სინაწესა და სურნელებას.

მაგრამ შავი ლარნაკისათვის ყოველთვის როდი იშოვებოდა ყვავილები, — იგი ხშირად ცარიელი იდგა.

— ისეთი კონტა ლარნაკია, თვითონ ამშვენებს თავის თავს, — ამბობდა დიასახლისი და ლაქნასხულ წედპირს მტვერს აცლიდა მწარუნველი ხელით.

თეთრი ქაშანურის ლარნაკი, რომელიც თითქმის ყოველთვის ყვავილებით იყო სავსე, შეტყურებდა თავის ლამაზ მწვანეებს და, „ყველაფერი რიგზე არ უნდა ჰქონდესო,“ — ფიქრობდა.

### ბულბარული მოთხრობა

— ასე მგონია, მარტო გვყინდება, — უთხრა ერთხელ როგორცაღ.

შავმა მზეთუნახავმა არაფერი უპასუხა. „ალბათ, რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებულია და არ ესმის“, — გაიფიქრა თეთრმა ლარნაკმა. რომელიც ამ დროს დიასახლისი გულუფეთელების თაიგულს სდებდა.

მონდენილმა ლარნაკმა თავის ტანზე დახატულ მშვენიერ ჯადვარზე დაიხედა და არაფერი სთქვა.

„შეიძლება შავ ლარნაკში ყვავილებს იმიტომ არ დებენ, რომ მას თავისიც აქვს. მაგრამ ყოველდღიურად რომ ცოცხალ ყვავილებს შეშხარი და წრუნავ მათზე, ეს ხომ სულ სხვაა“ — გაიფიქრა თეთრმა ლარნაკმა.

ერთხელ უთხრა:

— რამდენიმე ყვავილს მოგცემ, თუ მარტოხა მოგწყინდა.

შავმა ლარნაკმა მედიდურად გადმოხედა წემოდან და უპასუხა:

— გგონია ეგ უბრალო ყვავილები მომიხდება? მე მხოლოდდამხოლოდ ნაწი ყვავილებისათვის ვარ გაჩენილი, რომლებიც სათბურებში გამოჰყავთ და დაშაქრულ წყალს ასმევენ, ისედაც ხანმოკლე სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

მცირეოდენი დუმილის შემდეგ ცივად დაუმატა:

— არ დაგავიწყდეს, ჩემს ჭვეხადგამს განთქმული ფაბრიკის იარაღი ამშვენებს, შენ კი, არავინ იცის ვინ შეგქმნა.

და შედიდურად მოიღერა თავისი მაღალი ყელი.

ერთხელ, დიასახლისის უმცროსმა ქალიშვილმა გვირგვინის დიდი თაიგული მოიტანა. თეთრი ლარნაკიდან ძველი ყვავილები ამოჰყარა და მათ შავიერ გვირგვინები ჩააწყო. ყვავილები იმდენი აღმოჩნდა რომ არ ჩაეკთა. მაშინ გოგონამ წოგი შავ ლარნაკს უწილადა.

თეთრი ლარნაკი ძლივს იტევდა გვირი-

ლებს. მან ფაიფურის ლარნაკს შეხედა, ძველი წყენა უკვე დავიწყნოდა და გულთბილად უთხრა:

— მონარული ვარ, რომ არ დაგვიწყნეს. გვირგვინები ისე ლამაზად ირგვლებიან შენ შავ სარკეში, ასე მგონია კიდევ სხვა თაიგულია.

— შენი საქმე არ არის! — უპასუხა დამცირებულმა, განაწყენებულმა შავმა ლარნაკმა, — შენი ნაქები გვირგვინები სამ დღეზე მეტს ვერ იცოცხლებენ, არც დაშაქრულ წყალს გაიმეტებს მათთვის ვინმე.

სალამოს დედამ შავ ლარნაკში გვირგვინები დაინახა და ქალიშვილს უკმაყოფილოდ ჰკითხა:

— როგორ მოგივიდა, შვილო, ასეთ ძვირფას ლარნაკში მინდვრის გვირგვინები რომ ჩაგვიწყნეს ვერ ხედავ, ისინი სულაც არ ეხამებოდა მასზე დახატულ ყვავილებს, გადაყარე ახლავე!

— არა, დედიკო, — შეეპასუხა გოგონა. — შეხედე ერთი, რა კარგებია!

გოგონა ლარნაკს მიუახლოვდა და ყვავილებიანი მხარე კედლისკენ შეაბრუნა. ახლა მხოლოდ შისი შავი წურჭი ჩანდა.

— შეხედე, დედა, ახლა ყოველნაირი ყვავილი შეგვიძლია ჩაგაწყნოთ შიგ. ის ხომ ხშირად ცარიელია!


დიასახლისი ხმას არ იღებდა, მერე უხალისოდ დაეთანხმა:

— კარგი. ახლა ეს უბრალო შავი ლარნაკია და ყოველთვის შეიძლება შიგ ყვავილების ჩაწყობა.

„ძლივს! არც ის იქნება უსაქმო, — გაიფიქრა ქაშანურის ლარნაკმა, — იმიტომ იყო ასეთი უგულლო“.

არავინ გაუგია რა იგონო შავმა ფაიფურის ლარნაკმა. იგი კედლისკენ იყო მიბრუნებული და მისი სახის გამომეტყველება არავის დაუნახავს.

თარგმნა ჯაბა აბატიანმა



რისკაცის ქვრივს“ ერთერთი საპატიო ადგილი უკავია. ეს რომანო ქვრივებზე მაყურებელმა სცენაზეც ახილა. რომანის მთავარი გმირის — ხათუნას — სახის გასახიფრება მსახიობ დოდო ჭიჭინაძეს ხვდა წილად. მსახიობის ბუნებიდან თითქოს დაიძრა „მთვლემარე“ შემოქმედებითი ენერჯია, დაიძრა დიდი ძალით, შინაგან ხმასა და ლტოლვას მინდობილი.

ვინც ამ მსახიობის შემოქმედებას იცნობს, დაგვერწმუნება, რომ ხათუნა დ. ჭიჭინაძის ყველაზე თვალსაჩინო აქტიორული გამარჯვებაა. ამ სახეს პრინციპული მნიშვნელობა აქვს მსახიობის შემდგომი არტისტული კარიერისთვისაც. მსახიობმა შესძლო განთავისუფლებულიყო აფექტის მომხდენ ყველა იმ ცდუნებიდან, რომელიც ხშირ შემთხვევაში გარეგნულს ვერ ცილდებოდა.

ყველაზე მეტად ამ როლში თვალსაჩინოა, რომ ლამაზი უესტი, პლასტიკა, ფრაზა მხოლოდ მაშინაა ლამაზი, როცა მას განცდის სილამაზე უდევს საფუძვლად. ეს ხდის ემოციურსა და მშვენიერს სახეს; მაყურებელზე შემოქმედების ძალის საიდუმლოც აქაა დამარხული.

საოცრად მონდომებული, თავდაუსოგავი იყო დოდო ჭიჭინაძე ამ როლზე მუშაობის დროს. მას ღრმად წაშდა, რომ ბოლომდე თავს გაართმევდა რთულ შემოქმედებით ამოცანებს.

ხათუნას ბედი, მისი ტანჯვა, სიხარული და ბედნიერება, ბრძოლისა და არსებობის მთელი აზრი არ შეიძლება უცხო და გაუგებარი ყოფილიყო მისთვის. მსახიობი გულით ეცადა და მიადწია კიდევ იმას, რომ როლის სიცოცხლით ეცხოვრა და მისი ტანჯვით დატანჯულიყო. მან შესძლო ისცენირების შეზღუდულ ჩარჩოებში ხათუნას ცოცხალი, ღრმად დამაჭერებელი პორტრეტის შექმნა. მსა-

ქეთევანი — „დავით გურამიშვილი“

# ლოლო ჭიჭინაძე-სათუნა

ქართველი ქალის სულიერი და ხორციელი ხატება მწერლობისა და ხელოვნების შთაგონების საგნად გადაიქცა. ასე მოხდა სამამულო ომის დროსაც. ჩვენმა დედებმა და დებმა უდიდესი ზნეობრივი და მორა-

ლური მხნეობა გამოიჩინეს ქვეყნის ძნელ ბედობის უამს. ამან გარკვეული ასახვა გამოავლინა მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. შეიქმნა შესანიშნავი ნაწარმოებები. მათგან, რევან ჯაფარიძის „ჯა-





შეიქმნა — „მოსკოვლი“

ხიობის იშვიათ გარეგნობას თაღის მეტისმეტად შეგნოდა. სახეზე ნათლად ირეკლებოდა სულის ყველა მოძრაობა. როცა ხათუნას მძიმე ფიქრები მოიცავდა, მსახიობის დიდრონი, წყლიანი თვალები საოცრად ეღვარებდნენ. გრძობათა მრავალ მონაცვლეობაში მსახიობი ყველგან ეძებს გამომსახველობის სიმკვეთრეს, თანაც ისე, რომ არსად უღალატოს განცდის უშუალობასა და სიწრფელეს, რეალისტური განსახიერების პრინციპს — უბრალოებასა და მშვენიერ სისადავეს. ეს უკანასკნელი ყველგან ერთნაირი ძალით არ არის მიღწეული, მაგრამ არც მსახიობი თვლის როლზე მუშაობას დამთავრებულად. იგი კვლავ ეძებს და პოულობს ახალ ფერსა და ინტონაციებს, სრულყოფს სახეს. მან კარგად იცის, რა პასუხისმგებლობაც აკისრია ხათუნას როლის განსახიერებით: აქ იგი ქართველი ქალის სახელით გამოდის, მისი ამაყი სულისა და ქალური ღირსების დამცველი ხდება. ხათუნა მთლიან და გაუზნარავ პიროვნებად რჩება მაშინაც კი, როდესაც უცებ მომსკდარმა გრძობამ დარია ხელი. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთ ხანს, ვიდრე დაიწყებოდა გამოფხიზლება. აქ კვლავ იმძლავრა დედაშვილობის გრძობამ და დაღუპული ქმრის ხსოვნისადმი ერთგულებამ — ცხოვრების ყველა წინააღმდეგობები ხასიათის ამ ორ ძირითად თემას ეჯახება და მასთან შეპირისპირებაში მარცხდება კიდევ. მსახიობი მიხვება ამ თემებს, როგორც სახის ძირითად სიმართლეს, მას ჩვენ ნაწარმოების საერთო დამაგვირგვინებელ აზრსა და იდეამდე მივყავართ.

ხათუნას როლში მსახიობმა თავისი აქტიორული შესაძლებლობების სრულიად ახალი მხარეები გამოავლინა: ადამიანური მომხიბვლელობა, უბრალოება და

შირინი — „ლეგენდა ხიყვარულზე“



სისადავე მუდამ თან ახლავს ამ როლს დოღო ჭიჭინაძის შესრულებით. ამ გზით გაიკვლია ხათუნა — დ. ჭიჭინაძემ გზა მაყურებელთა გულისაკენ. თუმცა დოღო ჭიჭინაძეს აღრევ ჰქონდა ეს გზა გაკვლეული.

ხათუნას როლი ხომ ასე ერთბაშად არ შექმნილა; ცარიელი შთაგონების ნაყოფი როდია იგი. ვიდრე მსახიობი ამ როლამდე მივიდოდა, მან შემოქმედებითი ცხოვრების გარკვეული გზა განვლო.

დ. ჭიჭინაძის არტისტული კარიერა 1945 წლიდან იწყება. იგი ჯერ კიდევ კინოსტუდიის მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც რეჟისორებმა ბ. თუმანიშვილმა და ნ. სანიშვილმა ჭეთევანის როლზე დანიშნეს. ჩვენ მაყურებლებს კარგად ახსოვს ეს როლი „დავით გურამიშვილიდან“. ამ ფილმში მსახიობი პოეტის სატრფოს ანსახიერებდა და მისი გარეგნობა მართლაც პოეტური შთაგონების ცოცხალ ხატებას გვაგონებდა. ახალგაზრდა გამოუცდელმა მსახიობმა


შესძლო შეექმნა სახე პატრიოტი ქალისა, რომელმაც სამშობლოს საკურთხეველზე საკუთარი სიცოცხლე მიიტანა მსხვერპლად.

ასევე წარმატებით გაართვა თავი დ. ჭიჭინაძემ ეთერის სახეს ფილმში „ბედნიერი შეხვედრა“; მაყურებელს კარგად ახსოვს მისი მზია ფილმიდან „ცისკარა“ და თავადის ასული ნინო „ბაში-აჩუკიდან“.

მოულოდნელი იყო 1949 წელს დოღო ჭიჭინაძის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე გამოჩენა. ამ სცენაზე მან მრავალი სახე შექმნა. იყო წარმატებაც, ძიებაც, მაგრამ, დოღომ ნამდვილ შემოქმედებით გამარჯვებას „ქარისკაცის ქვრივში“ მიაღწია.

ნიჭის ამგვარი გამონათებანი სასახელოს ხდის მსახიობს, გვაყვარებს თეატრს და მეტ პატივისცემას აღძრავს ჩვენ ხალხში აქტიორული პროფესიის მიმართ.

ალ. შალუტაშვილი



ვინ იცის, ჟამი სიბერის ცელით  
სად ჩაუსაფრდა ჩემს ჩაუქობას?  
მინდა ვატარო დღეთა სანთელი  
ნამუსიანად და ჩაუქობად.

მინდა მოგართვა როგორც გრაგნილი,  
გული-გულითვე წასაკითხავი,  
იქნებ ირწმუნო—იავარქმნილი  
შენი ერთგული მონა ვიყავი.

სულ მეყვარები, ასე მგონია,  
შენ ერთი მხოლოდ, შენ ერთი მხოლოდ,  
რადგან სიცოცხლე მართონია,  
დაე, შენს მუხლთან დავეცე ბოლოს!

**ბაღა უაჯალაშვილი**

**ოზის გვირილი**

გაჩაღებული ომი არის,  
ომია ქვევით...  
ერთი მხედარი გამეტებით  
მისდევს მტრის მხედარს.  
გაჩაღებული ომი არის  
ეზოში, ქვევით,  
ცრემლებს ღვრის  
მაღლით გადმომდგარი  
ჭალარა დედა.  
რას ტირის დედა,  
რატომ ტირის?  
სიცოცხლით სავსეს  
დაჰყურებს ეზოს და სატირალს  
მაინც რას ხედავს!..  
ნუ ითამაშებთ ომობანას,  
კარგო ბავშვებო,  
ნულარ ახსენებთ  
ომის მწარე ტკივილებს დედას.

**ირინე უფხაძე**

**მე...**

მე ვინა ვარ?  
მე რა მქვია? —  
ნიავე ვარ,  
ქოჩორი რომ შეგირხია.  
მე ვისი ვარ?  
განა შენი?—  
კაცაჩო ვარ  
ველ-მინდვრების დამამშვენი.  
კიდევ ვინ ვარ?  
რა ვარ კიდევ?—  
შენი ღელვა  
და არასდროს დაგამშვენი.

**ნუ გაშიშვალა...**

ხოო დღუნებს მტრედების ხმაზე,  
ეხმარება ნორჩი ჩინარი...  
თავაწული მივდივარ გზაზე,  
ტკბილი ფიჭვების თანაზიარი.  
ვივლი, გამაფრენს ოცნება ტკბილი,  
ღეჭებებს გავანდობ ყველა იმედებს.  
ხიზარულითვის ვარ გაჩენილი,  
მწუხარებისთვის ნუ გამიშვებ...

**ამზარ კვიციანი**

\* \* \*

ფერი მიწის და ცისა  
თვალებით დიდხანს ვზიდე,  
ფერი ფერს არ გავს ისე,  
როგორაც მწვანე ყვითელს.

მზე უძლეველი ანთებს  
ცისა და მიწის ფერსაც,  
იგი რომ არა, — ამ მთებს  
ვერ ვიხილავდი ვერსად.

ფეთქავს ნათელი დღისა,  
მესმის შრიალი ყანის,  
ფერი ფერს არ გავს ისე,  
როგორც ყვითელი მწვანეს.

გულში შენი ხმა ჟღერდა,  
მიუწვდომელი დარჩი,  
როგორც ჭიდილი ფერთა  
დგას მზესუშირა ქარში.

**მ ა მ ე ლ ი**

ისევ და ისევ შენ მეფერები,  
ვარ შენი ცით და სინათლით მთვრალი,  
ჩაუქრობელი შენი ფერები  
აწყდება მზეში გახელილ თვალებს.

მიწაზე ლურჯი მთების ლანდია,  
შენ სიმადლეში მთებს შეეცილე,  
შენი სახელი გულში ანთია,  
თვალები შენით მაქვს დაცრეცილი.

მინდორში თვლემენ შენი ზვინები  
და მათი ხილვით მეც ვითენთები,  
შენზე ოცნებით დამეძინება,  
შენზე ოცნებით მე გავთენდები.

ჩემი სხეულის დაგფარავს ფერფლი, —  
შენთვის სიკვდილიც მიჩანს ადვილი,  
ვარ შენი შვილი და შენი მსხვერპლი,  
შენი მშვენიების ვარ დამხატველი.

**ლია ასათიანი**

**ღირ ბეოსნაგას**

ფარდა სამკუთხად გადაკეცილი  
და ფანჯარაში  
პატარა ბავშვი.  
მის წინ სახლების

მთელი ჯარია  
და გზატკეცილი.  
ვინ იცის, აზრთა  
რა ჭიდილია  
დიდ მეოცნების  
პატარა თავში?  
მას დედოფალა უჭირავს ხელში,  
მისი შვილი თუ მისი დობილი  
და ფაიფურის  
უკოცნის სახეს.  
რა ქალურობა იგრძნობა უკვე  
პატარას ნატიფ მისრა-მოსრაში.  
და რა სიუხვე დედურ ინსტიქტის,  
იმ დრმა ოხვრაში,  
რომ აღმოსდება  
ამ ფაიფურის  
თოჯინას ავად  
გახდომის გამო.  
თუ მოესურვა:  
არის საღამო,  
როცა მას უნდა, დამეა დღისით,  
მის ფანტაზიას თამაში ჰქვია,  
ო, რა უსაზღვრო ოცნება იცის.  
ის დედა არის,  
ის მკურნალია,  
გმირია ყოველ მოსმენილ ზღაპრის,  
ის ფერიია, თოვლის ქალია  
და არ დაუცდის მარტსა და აპრილს —  
მისთვის საფხულში გაზაფხულია  
და გაზაფხულზე  
ცივი ზამთარი,  
სულ ჯადოქარის ოინებია,  
როცა სარკმელთან  
ზუზუნებს ქარი.  
ფარდა სამკუთხად  
გადაკეცილი  
და ფანჯარაში  
პატარა ბავშვი,  
მის წინ სახლების  
მთელი ჯარია  
და გზატკეცილი...  
ვინ იცის აზრთა  
რა ჭიდილია  
დიდ მეოცნების  
პატარა თავში?..

**ოზარ უაჯალაშვილი**

**არგან სიმონხე ბაკათონია**

მუდამ გიყვარდე არა მგონია,  
უსასრულობა არ მჯერა გზისა.  
მთელი სიცოცხლე მართონია  
დღისა და ღამის, ჩრდილის და მზისა.

# ირი ქ-ე



გერმანელი ანტიფაშისტი მწერალი, ეროვნული პრემიის ლაურეატი ლეონ-პარდ ფრანკი ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელიც თავისი სულიკვეთებით, იდეებით და მხატვრული გამომსახველობით მჭიდროდ უახლოვდება გერმანელი ერის ბრწყინვალე შვილებს: თომას და ჰენრიხ მანებს, ბერტოლდ ბრენტს, ლიონ ფოიხტვანგერს.

ლ. ფრანკი დაიბადა 1882 წელს, ლარიბი დურგლის ოჯახში. მუშაობდა მღებავად, მძღოლად, სანიტრად, მტვირთავად. ცხოვრების უმეტესი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა. 1950 წელს დაბრუნდა გერმანიაში. 1955 წელს იმოგზაურა საბჭოთა კავშირში. გარდაიცვალა 1961 წლის 18 ივლისს, მიუნხენში.

ლ. ფრანკმა 1910 წლიდან დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. იგი მრავალი რომანის და ნოველის ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია რომანები: „ავა-ზაკთა ბანდა“, „მამაკაცთა კვარტეტი ოქსენფურტიდან“, „მატილდა“, „ახალგაზრდა ფეიო“, ნოველები: „კარლი და ანა“, „უკანასკნელ ვაგონში“. მისი შემოქმედების გვირგვინია რომანი: „მარცხნივ, სადაც გულია“.

ფრანკი თავისი ნაწარმოებებით იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლია.

ლ. ფრანკის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს ბევრ ენაზე.

## ლემონპარდ ფრანკი

მხატვრები ლ. ხატელიშვილი და თ. მაცაბერიძე

ექიმ კრონერის მოსაცდელი თთახი ერთი შეხედვით კოსტა ავეჯით იყო მოწყობილი, მაგრამ ულახათოდ და უგემოვნოდ გამოიყურებოდა.

აგვისტოს ერთ კვირა დილით, მწვანე ყვავილებიან, დეკორატიული ქსოვილით გადაკრულ გახუნებულ საჯარძელში იოპანა იჯდა. თთახში სულის შემხუთავი, მძიმე ჰაერი იდგა. მზე ჩამოშვებული ფირფიტანიდან მწვავედ იჭინებოდა, ტუტურუტანებში შემოჭრილ სხივებზე მტვერი ირეოდა.

იოპანას მოხდენილი, მაგრამ ოდნავ გაცვეთილი კაბა ეცვა. თმა წითლად შეეღება, ტურები და წამწამები გამოეხატა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა სახე სანდაზმული მოუჩანდა. ოდნავ განზე მოქცეულ ბაგეს ორი ნაოჭი ჩასდევდა.

იოპანა მთელი დამე მგზავრობდა და სადგურიდან პირდაპირ ექიმისაკენ გამოეშურა. გვერდი აუარა მშობლიურ სახლს, რომელიც მამის სურვილის წინააღმდეგ სამი წლის წინათ მიატოვა.

უცებ სახე დაემანჭა, გულის რევა იგრძნო. დერეფანში კარი მიხურეს. ექიმი დილის ტუალეტით იყო გართული. იოპანა კი დილით ადრე, უჩვეულო დროს მიადგა, როცა მას ჯერ კიდევ ეძინა.

გოგო იოპანას საორდინატოროში შეუძღვა. კარბოლაკის მიძიმე სუნე ეცა. ეტყობოდა, ფანჯრები გუმინდელს აქეთ არ გაედოთ. მინის გამჭვირვალე ბუდუში პინცეტები, პატარა დანები და შპრიცები ლაპლაპებდნენ. იოპანა გაცვეთილ სამედიცინო სკამს დააშტერდა, რომელიც ექიმს ძველმანით მოვაჭრესაგან ეყიდა.

უცებ მოეჩვენა, თითქოს დედამიწის სფერო დატრიალდა, უზარმაზარი შავი მწერი შემოფრინდა და ფრთით ჩაჭერილი პრიალა დანით სფერო ორად გააბო, იქიდან კარბოლაკი გადმოთქრი-

აღდა. დედამიწის სფეროს ორივე ნაწილი სადაც ჩაინთქა. იოპანა შეშინებული წამოხტა. სიცოცხლისთან მხოლოდ ისღა აკავშირებდა, რომ სუნთქავდა.

ამ დროს თთახში ტანმორჩილი, ლოყებდაბერილი ნებიერი ექიმი შემოვიდა. გაფთვებულ იოპანას დანახვზე „პოპ“ შექსახა, უმალ მივარდა და რაღაც ანწსა.

იოპანა გონს მოვიდა. მიხვდა, სადაც იმყოფებოდა.

— ჰუგო მანგემ მთხოვა ეს წერილი თქვენთვის გადმომეცა.

— ოპო! როგორც იქნა მაცნო თავის შესახებ! ექიმმა კითხვისას კოპები შეიკრა. ჰუგო მანგე მისი სტუდენტობის მეგობარი იყო. როგორც წერილიდან ჩანდა, იგი საგრძნობლად დაცემულიყო სულიერად; ამას კრონერი ყოველთვის უწინასწარმეტყველებდა. ამ ამბავმა ექიმს გუნება გაუფუჭა, მაგრამ, ამვე დროს, პატარა სიამოვნებაც მიანიჭა.

დილის სუფთა ჰაერმა გამოაცოცხლა იოპანა. თვალი ცრემლებით ავესო.

— მერამდენე კვირაა, რაც ფეხმძიმედ ხართ, ჩემო კარგო?

იოპანა ფანჯარაში იყურებოდა და გამოკრულ აბრაზე ანგარიშიუცემლად კითხულობდა: „საქონლისა და ღორის სორცის დუქანი. პანს კიბი.“

— პირველად, ათი კვირის წინ ვიგრძენი. თეატრში ცუდად გახვდი. შემდეგ ექიმმა მითხრა ამაზე... მაგრამ ეს შეუძლებელია... ასეთ უმწყო მდგომარეობაში... მე არაფერი გამაჩნია.

— დიას, დიას, ნაცნობი ამბავია! უკვე ბევრი ქალი იჯდა აქ, ჩემს წინ, ასეთსავე მდგომარეობაში. და ის... ჩემი მეგობარი მანგე! განა არ აპირებთ დაქორწინებას?

— ცოლიანია... ორი ბავშვი ჰყავს და მეუღლემ უყვარს.

ექიმი მრავალმნიშვნელოვნად ჩაფიქრდა, რამდენიმე წუთის განმავლობაში ორივე დუმდა. ბოლოს ექიმმა დაარღვია სიჩუმე და იოპანას მიმართა:

— პო, მართლა, გთხოვთ ფული წინდაწინ გადაიხადოთ, — ასეთია ჩემი პრინციპი. ჩემთან მოდიან ქალები, რომლებსაც ერთი გროსის მე დასდებენ კი არ შეუძლიათ, რა უნდა ვქნა! მე მათ უარს ვერ ვუბნები და ვღებულობ... თქვენ გაფთვრებული ხართ და ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა... რას იზამთ, ასეა მოწყობილი ცხოვრება! მხოლოდ რამდენიმე წელი სიხარულისა და სიამოვნებისა.

„სამი წელი, — ფიქრობდა იოპანა, — და რა ცოტადენი სიხარული...“

— ...ყველაფერს დასასრული აქვს! მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ სრულიად ჯანმრთელი ხართ, თუ არ ჩავთვლით ფილტვების ოდნავ დაავადებას... განა არ გასურთ ჰყავდეთ ბავშვი? — კრონერი ამ სისხამ დილით ჯერ კიდევ ბურანში იყო და დაუფიქრებლად ლაპარაკობდა...

— ოდნოდაც!

— მაშ ასე! — თქვა კრონერმა. თანაგრძნობის ნიშნად თავი გააქნია და წყნარად ამოიოხრა.

კრონერმა ნათესაების დახმარებით სწავლა დიდი წვალეობით დაასრულა და ლარიბ გოგონაზე დაქორწინდა, რომელიც როგორც თვითონვე აღნიშნავდა, სტუდენტობის მიძიმე წლებში მხარში ამოუდგა, სიყვარულობა და ერთგულებით საგსე. ექიმს ვერც კი წარმოედგინა ასეთი ქალიშვილის ბედის ანაზარად მიტოვება. ამაზე იგი ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჰყვებოდა.



როცა მისი მეუღლე ფეხმძიმედ გახდა, კრონერმა გადაწყვიტა, რაკი მისი პატარა პრაქტიკა მცირე შემოსავალს იძლეოდა, მთელი თავისი ნიჭი და ქირურგის გამოცდილი ხელი მედიცინის უფრო სარფიან დარგში გამოეყენებინა. ამ ხნიდან მისი, შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ძნელად საშოვნო ავეჯიც კი შეიძინეს. მათთან მეგობრები ხშირად იყრიდნენ თავს. თვით კრონერის სახემ ქედმაღლური და თვითკმაყოფილი იერი მიიღო. ახლა მისი ცოლი ყოველ წუთს ელოდა ბავშვს.

კრონერი ტელეფონით დაუკავშირდა სანატორიუმს. იოჰანსთვის საოპერაციო და ცალკე ოთახი შეუკვეთა, ხუთი დღით.

ამ დროს, იოჰანა კრონერისათვის გადასახდელი ფულის გამოკლებით, ხელზე დარჩენილ თანხას ანგარიშობდა. რაც ძლივს ეყოფოდა საოპერაციო დარბაზის, მისთვის ცალკე შეკვეთილ ოთახის ქირასა და სხვა წვრილმან ხარჯებს. „და შემდეგ?...“ შემფოთებულმა თვალები დახუჭა.

კრონერი იოჰანას მიუახლოვდა, გასამხნევებლად ხელი ხელზე მოუჭირა:

— ღვთის შემწეობით ყველაფერი კარგად ჩაივლის, ხომ არ გეშინიათ, ჩემო კარგო! სვალ ამ დროს ყოველივე უკან დარჩება.— შემდეგ მან იოჰანას მიერ მიცემული ფული საწერი მაგიდის ყუთში ჩააგება.

იოჰანა ზღაპრით მიჰყვებოდა ქუჩას, ქვევით, არხისაკენ, ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილი სანლებისა და ყაზარმების გასწვრივ. ფანჯრებიდან ჯარისკაცები ელაზღანდარაგებოდნენ, იოჰანა ქუჩის ქალად მიიღეს.

სამი წელია იოჰანა მშობლიურ ქალაქში არ ყოფილა. აქ, ბავშვობის წლების მოგონებებით საგსე ამ ქუჩაში, უცრად იგრძნო, რომ მისი ცხოვრება დაღუპულია.

რამდენიმე საათის შემდეგ ოპერაციას გაიკეთებს. შემდეგ ყველაფერი ისევე იქნება, როგორც წინათ. იგი შეკრთა, მოსლოდნელი მართლობის გრძნობა დაეფუტა. ფეხმძიმობასთან ერთად მის სხეულში შევირა ცხოველმყოფელი, იღუმალი ძა-

ლა, რომელმაც ძირფესვიანად შესცვალა იოჰანას დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, არსებობისადმი. ამ რამდენიმე კვირაში სულ სხვა ადამიანად იქცა, თითქოსდა მისი სიცოცხლე შინაარსიანი გახდა.

იოჰანას მტკიცედ სწამდა, რომ მის არსებაში წარმოშობილი დედობრივი გრძნობა, რომელიც რაც დრო გადიოდა უფრო უძლიერდებოდა, ბავშვის დაბადებისთანავე მის უაზრო ცხოვრებას შეაგსებდა და ხალისიანს გახდიდა.

იგი ქალაქის ბაღს მიუახლოვდა, სადაც ბავშვობისას თამაშობდა ხოლმე.

გარშემო ერთმანეთი იდგა. ბავშვები ბზრიალას ატრიალებდნენ და ერთმანეთს იჭერდნენ. იოჰანა ერთი ქალის გვერდით ჩამოჯდა, რომლის ფეხებთან პატარა გოგონა ქვიშას ტკეპნიდა.

ექა! ცხოვრება კი შეიძლება მშვენიერიც იყოს, საჭიროა მხოლოდ სიყვარული და უშუალობა. თამაშში გართული საკუთარი ბავშვების ყურება, სამი წლის განმავლობაში გატარებული თავაშვებული ცხოვრების მაგიერ: პროვინციული მსახიობები... მთელი ღამის განმავლობაში ლიტერატურაზე დაუსრულებელი კამათი... თამბაქოს ჭარბი... დაქანცული სახეები და მხოლოდ გარიჟრაჟზე შინისაკენ.

შვილის ყოლის უდიდესმა სურვილმა იოჰანა აღანთო. იგი გარკვევით გრძნობდა ბავშვის სუნთქვას, ნათლად ხედავდა თუ როგორ იწვა მოკეცილი ხელებითა და ფეხებით, შუბლზე დიდი ნოტიო, ტუჩებმოკუმული, თითქოს დედას უბრაზდებოდა.

აღვლევბული იოჰანა ბალიდან გაიქცა. სუნს-ქვაშეკრულმა მიიბრინა კრონერის სახლთან, დიდხანს უტრიალა. გაწამებულს ვერ გადაეწყვიტა ზევით ასვლა და ოპერაციის გაუქმება. „ჰმ, გავაუქმო!“ და ირიბად ჩაიციხა.

ექიმი კრონერი კი საწერ მაგიდასთან იჯდა და განვლილი დღის შემოსავალს აჯამებდა. დროდადრო ლიქიორს წრუპავდა და ჰავანურ სიგარას აბოლებდა.

„საკმარისია ავიდე ზევით, ოპერაციაზე უარი ვთქვა და ბავშვი მეყოლება. პატარა გოგონა! ჩემი პატარა გოგონა!... და მერე?“

— მე ყოველთვის კარგად ვაბარებდი გამოცდებს, მაგრამ ჭკუო მანვე ჩემზე ნიჭიერი იყო, რაც მართალია მართალია. მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა იგი სულიერად დაეცა და თანაც ეს ქალიშვილიც დაღუპა. — კრონერი ცოლს მიუახლოვდა, რომელიც პასიანს აწყობდა და საგრძნობლად წამოზრდილ მუცელზე ალერსიანად მიუთათუნა.

მას შემდეგ, რაც ქალბატონი კრონერი ფეხმძიმედ გახდა, ბანქოს გაშლა მის მთავარ საქმიანობად იქცა. მას შეეძლო დაუქანცველად, ზედოზედ ოცქერ გაეშალა პასიანსი, ყოველ ახალ გაშლაზე, როცა ბანქო უწინასწარმეტყველებდა, რომ მის ბავშვს კრონერივით ცისფერი თვალები ექნებოდა, სახე ებადრებოდა.

სამზარეულოში მოსამსახურე გოგო იჯდა, სამზითოდ წინდებს იქსოვდა და თან საქმროსათვის გასაგზავნ წერილზე ფიქრობდა. ბინაში სიმშველდე და მყუდროება სუფევდა.

უცებ ქალბატონმა კრონერმა შეჰყვირა,

ბანქო სელიდან გაუვარდა. წელში ელვისებურმა ტკივილმა გაჰკრა.

კრონერი ერთ თავის კოლეგას ტელეფონით დაუკავშირდა. მოსამსახურე გოგო კი ბებიასთან გაიქცა.

ყოველ მწვავე შეტევასევე ქალბატონი კრონერი სუნთქვას შეიკრავდა, უნდოდა ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა ტკივილები. გული ეკუმშებოდა, თვალები გადმოეკარკლა, თითქოს აი, ახლავე განუტევებს სულსო, სიმწრის ოფლი ასხამდა.

ასე ხდებდა ყოველთვის, როცა ქვეყანაზე ახალი ადამიანი იზადებდა. ქალბატონ კრონერს კი ერჩინა ახლა ამ საწოლზე მკვდარი წოლილიყო...

იოჰანა სანატორიუმში მივიდა. მთელი დღე და საღამო ცის ქვეშ გაატარა, რათა ერთი დღის ბინის ქირა მაინც დაეზოგა. დაბნეული და ძალაგამოლეული იყო. გულით სწადადა ოპერაციის მარცხით დამთავრება.

მეორე დღეს იოჰანა ორმა მოწყალეების დამ, გრძელი დერფუნის გავლით, საოპერაციოში შეიყვანა. დიდს, თეთრად შეღებილს, ეთერისა და იოდოფორმის სუნით გაჟღერებულ ოთახში მზე უხვად აფრქვევდა სხივებს.

საოპერაციო საწოლთან მომცრო ტანის, თავმოტვლებილი სქელი ექიმი იდგა. გამზადებული ნიღაბი ხელში ეჭირა.

იოჰანა, რაც მისთვის განკუთვნილი ოთახი დასტოვა, ღიმილს არ იცილებდა. ეგონა, ამით უფრო გაიადვილებდა ყველაფრის გადატანას.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ძალიან ცოტას სჭამდა. და დღეს დილით, ნარკოზის მოლოდინში, არ უსაუზმია. ნარკოზის ქვეშ სიკვდილი უცებ ყველაზე საუკეთესო საშუალებად მოეჩვენა. ამით ყველაფერი დასრულდებოდა.

მოწყალეების დებმა იოჰანას ტანთ გახადეს.

რეზინის თეთრ ხალათში გამოწყობილი კრონერი ოთახში შევარდა. უკან ასისტენტი მისდევდა. საუბარი შესწყვიტეს.

— როგორ არის საქმე, ყველაფერი წესრიგშია? — და თან კრონერი რეზინის ხელთათმანებს იცვამდა.

— უვარცისი კბილები ხომ არ გაქვთ?... აბა, ჩემთან ერთად გაიმეორეთ:

...ერთი... ორი... სამი... ოთხი...

სქელმა ექიმმა იოჰანას სახეზე ნიღაბი დააფარა და მაჯის ცემა გაუსინჯა.

— დაითვალეთ! —

— ...შვიდი... რვა... უპ! რა შესანიშნავი, შესანიშნავი გრძნობაა...

კრონერი სწრაფად და დაჯერებით მუშაობდა.

— ესეც ასე, დავამთავრეთ! ახსენით ნიღაბი! კრონერს შუბლზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

ოპერაციამ მხოლოდ ათ წუთს გასტანა. იოჰანა ისევ საოპერაციო მავიდაზე იწვა, როცა კრონერს ვაჟის შეძენა ახარეს.

მოწყალეების დები და კოლეგები გარს შემოეხვივნენ და მხურვალედ ულოცავდნენ. კრონერის სველი სახე სიხარულისაგან ბზინავდა.

ორმა, თეთრხალათიანმა სანიტარმა, ჯერ კიდევ გონსმოუსვლეელი იოჰანა, მისთვის განკუთვნილ ოთახში გაიყვანეს და რკინის საწოლზე დაასვენეს.

გერმანულიდან თარგმნა **ნონა ღოზვირიძე**

# სუნთქვა



სწავლობენ...



...ზრკობენ ახალ აფრიკაში





# ახალი ქალის უცხოური სუიტა

„კუბის რესპუბლიკის ბალეტის“ ხელოვნებასა და გამოჩენილ კუბელ მოცეკვავს ალონსო ალონსოს თბილისელი მაყურებელთა წინაპირგულად გაეცნო.

ახლახან ალონსო ალონსო მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრებში გამოვიდა. განსაკუთრებული წარმატება სვდა მას ადანიის ბალეტ „ჟიზელიში“. ჟიზელის სახის წარმტაცმა ინტერპრეტაციამ, შემსრულებლის ფაქიზმა მუსიკალობამ და ვირტუოზულმა ტექნიკამ მთელი ძალით დაიპყრო მაყურებელი.

დელიბის ბალეტ „კოპელიას“ ტექნიკურად რთულ დუეტებსა და ვარიაციებში ალონსო ნათელი და გამჭვირვალე პლასტიკით ქმნის სვანოლდას სახეს.

პერტელის „ამაო სიფრთხილემი“ ალონსომ ლირიულობითა და ქორეოგრაფიული ხაზების სინატიფით შეასრულა ლიზას პარტია.

„კუბის რესპუბლიკის ბალეტის“ კოლექტივმა კლასიკური ბალეტების გვერდით რამდენიმე თანამედროვე დადგმაც უჩვენა. ამ დადგმებში კუბელმა მსახიობებმა ცხადყოვეს კლასიკური ცეკვის სიმდიდრე და ფორმათა ნაირსახეობის მთელი შესაძლებლობები. თბილისელმა მაყურებელმა და სპეციალისტებმა ინტერესით მიიღეს დადგმები: „გამოღვიძება“, „მოჩვენება“, „კუბური სუიტა“ და სხვები.

კუბის ქორეოგრაფიული ხელოვნება ძალიან ახალგაზრდაა. პირველი საბალეტო სკოლა 1931 წელს გაიხსნა ქ. ჰავანაში, მას სათავეში ჩაუდგა ნიკოლოზ იაგორსკი. აღსაზრდელთა შორის იყვნენ: ალონსო ალონსო-მარტინესი, „კუბის რესპუბლიკის ბალეტის“ გენერალური დირექტორი ფერნანდო ალონსო, ცნობილი ქორეოგრაფი ალბერტო ალონსო და სხვები.

ჰავანაში ალონსო ალონსო რამდენიმე წელი სწავლობდა, მერე კი ნიუ-იორკში გადავიდა, სადაც სრულყო თავისი ოსტატობა პედაგოგებთან ალექსანდრა ფეოდოროვასა და ანატოლი ვილტსაჰთან.

ალონსო „ამერიკენ ბალეტ ტიტრის“ სოლისტი, შემდეგ კი პრიმა ბალერინა ხდება, მაგრამ, სამწუხაროდ, მხედველობის სერიოზულმა დაქვეითებამ იგი წლინახევრით ლოგინს მიაჯაჭვა. ბევრი წამების შემდეგ ალონსომ შესძლო წამყვანი ადგილის შენარჩუნება ამერიკულ ბალეტში.

1948 წელს ალონსო ალონსო თავის მეუღლესთან ფერნანდო ალონსოსთან ერთად საბალეტო დასს აყალიბებს, რომელსაც „ალონსო ალონსო“ ეწოდა. დასმა, რომლის პროგრამაშიც მსოფლიო კლასიკური და თანამედროვე ბალეტების ნიმუშები შევიდა, მოკლე ხანში საერთო აღიარება მოიპოვა.

1950 წელს ეროვნული კადრების მომზადების მიზნით „ალონსო ალონსოს ბალეტის“ ხელმძღვანელებმა შექმნეს ქორეოგრაფიული სკოლა ჰავანაში, რომელსაც კუბის სხვადასხვა ქალაქებში 14 ფილიალი ჰქონდა.

ბატისტას მთავრობამ, რომელიც ყოველნაირად აფერხებდა ხალხის კულტურის განვითარებას, გასაქანი არ მისცა კუბის ბალეტს. პროტესტის



# გული, გოჯაგნოთ სიტყვა!

საქართველო  
ბიბლიოთეკა

ნიშნად აღისია აღონსომ აღმფოთებითა და მრისხანებით აღსავსე ღია ბარათი გამოაქვეყნა.

რევოლუციის შემდეგ კუბის ბალეტის სწრაფად და წარმატებით ვითარდება.

1959 წელს კუბის ბალეტმა მიიღო სახელწოდება „კუბის რესპუბლიკის ბალეტი“.

საბჭოთა კავშირში კუბის რევოლუციის მიერ აღორძინებული ბალეტის მოცეკვავეები წარმატებით გამოვიდნენ პუნის ძველებური რომანტიკული ბალეტის „პოდკატრის“ ფრაგმენტში, რომლის დადგმა ეკუთვნის ალისია აღონსოსა და კლიტია ლესტერს. სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა სოლისტების: მირტა პლას, აგრორა ბოშის, ლურა რაინერის და მენია მარტინესის შესრულებამ. ამ უკანასკნელმა, უდიდესი მოხიზველობის გარდა, ცხადყო მაღალი ოსტატობა და ნიჭიერი ქორეოგრაფის უნარი (მისი დადგმით ჩვენ ვნახეთ დებოუსის „ქმნილებანი“). პირველი ნათლობა მენია მარტინესმა ჩვენი ქვეყანაში მიიღო; იგი ქალიშვილია ცნობილი კუბელი რევოლუციონერისა, რომელიც ფიდელ კასტროს მხარდამხარ იბრძოდა. ახალგაზრდობის-ვარშავის მსოფლიო ფესტივალში მენია მარტინესმა არალეგალურად მიიღო მონაწილეობა, მაგრამ უკან, სამშობლოში დაბრუნება ვეღარ გაბედა: ბატისტას ჯალათები მას დაპატიმრებით ემუქრებოდნენ.

საბჭოთა კავშირში მენია წლების მანძილზე სწავლობდა ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. საბჭოთა მაყურებელი ჯერ კიდევ სწავლის წლებში გაეცნო მის მრავალმხრივ ოსტატობას: იგი ნიჭიერად ასრულებდა მშობლიურ სიმღერებს, გამოდიოდა ესტრადაზე, როგორც ბრწყინვალე მომღერალი და მოცეკვავე.

1962 წელს მენია მარტინესი სამშობლოში დაბრუნდა და კუბის რესპუბლიკის ბალეტის წამყვანი სოლისტი გახდა.

მოსკოვის, ლენინგრადის, პარიზის, ნიუ-იორკის, პრადისა და სხვა ქალაქების საუკეთესო თეატრებში აღტაცებით უკრავენ ტაშს კუბის ბალეტს. ყველაზე დიდი სიყვარული და აღიარება კი მან თავის სამშობლოში მოიპოვა. საბალეტო დასი ხშირი სტუმარია სტუდენტთა ორგანიზაციების, ფაბრიკების, ქარხნების, სოფლების, სადაც სცენის მაგივრობას ქარხნის ბეტონის ფილები და მწვანე მინდვრები უწევთ. დასი ხშირად ეწვევა აგრეთვე მესაზღვრებს. დასის ბეგრი წვერი მილიციის მოხალისეა. სცენაზე გამოსვლის შემდეგ, სახალხო მილიციის ფორმაში გამოწყობილნი, ისინი არა ერთხელ წასულან კუბის რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად.

### ა. ჩხეიძე

„ნედელისა“ 1964 წლის მე-4 ნომერში დაიბეჭდა პოეტ ვლადიმერ სოლოუხინის სტატია „მოდ, მოგძებნოთ სიტყვა!“, რომელიც ეხება უცნობი ადამიანისადმი მიმართვის ფორმებისა და სათანადო სიტყვების შერჩევის საკითხს. ეს სტატია ქართულად გადმოიბეჭდა ჟურნალმა „საქართველოს ქალმა“ და სთხოვა მკითხველებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები.

მე ვფიქრობ, სტატიის ავტორი საყვებით სწორად აყენებს საკითხს. თუ სიტყვა მარჯვეა და ზუსტად შეფერვება სიტუაციას, იგი უნდა ვისმართოთ თავისუფლად, მიუხედავად იმისა, თუ როგორი სოციალური საფუძველი ჰქონდა ამ სიტყვის წარმოშობას.

ცნობილია, ადამიანთა სოციალური ურთიერთობანი უფრო სწრაფად და მნიშვნელოვნად იცვლებიან, ვიდრე ენა. ცვლილებები ენაში ხორციელდება თანდათანობით, ენის განვითარების საკუთარ კანონზომიერებათა მოქმედების გამო.

სიტყვას არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებული, მაგიური მნიშვნელობა და ამდენად არ უნდა მოვერიდოთ ძველი კეთილხმოვანი, მარჯვე სიტყვების ხმარებას.

სტატიის ავტორი მოითხოვს რუსული სიტყვების „Сударья“—სა და „Сударь“—ის აღდგენას ხმარებაში. ამასთან, თავის დასაზღვევად წერს: „ხმარებაში ყოფნისას ეს სიტყვა არ ატარებდა არავითარ სოციალურსა და კლასობრივ ხასიათს, ისევე, როგორც არ ატარებენ იტალიური „სინიორ“, ინგლისური „მისს“ და ფრანგული „მუსიე“.

მე იმის თქმა მიწადა, რომ თავის დაზღვევა აქ საჭირო არაა. ამ სიტყვებს რომ ჰქონოდათ კიდევ სოციალური, კლასობრივი ხასიათი, ეს არ უნდა გვიშლიდეს ხელს მათს ხმარებაში. მთავარია არა წარმოშობა და თავდაპირველი შინაარსი, არამედ ის, თუ დღეს რა მნიშვნელობით იხმარება ესა თუ ის სიტყვა, როგორი ხასიათი აქვს მას დღეს და მოცემულ სიტუაციაში.

მაგალითად, ქართული „ბატონო“ და „ქალბატონი“ აშკარად სოციალური წარმოშობის სიტყვებია, მაგრამ უნურება იქნებოდა ხმარებიდან ამოგვეღო ეს სიტყვები მხოლოდ იმის გამო, რომ ასეთი წარმოშობა აქვთ.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ფურცლებზე ამ საკითხის აღძვრის მიზანი ის კი არ არის, რომ დავეხმაროთ ვლ. სოლოუხინს საჭირო რუსული სიტყვის მოძებნაში. რუსი ხალხი და მისი ინტელიგენცია ამ საქმეს თვითონაც კარგად მოუვლიან. ჩვენ უფრო ჩვენი ერისა და ჩვენი ენის მდგომარეობა გვაწუხებს. ჩვენს ენაში კი პრობლემად იქცა არა ის, თუ როგორ მივმართოთ უცნობ კაცს ან ქალს, არამედ სწორედ ის, როგორ მივმართოთ ნაცნობ ქალსა და კაცს.

რუსებისთვის ეს პრობლემა მოხსნილია. მათ აქვთ კარგი ტრადიცია სახელისა და მამის სახელის ხმარებისა და არავითარ სინდელს არ გრძნობენ ამ ტრადიციის დაცვაში.

სხვა მდგომარეობაში ვართ ჩვენ, ქართველები (და არა მარტო ქართველები). ჩვენი არასოდეს არ ყოფილა ტრადიცია სახელითა და მამის სახელით მიმართვისა, ამიტომაც, რომ ვერა და ვერ შეგუვა ყური ამ ფორმას: „ივანე ივანეს ძე!“, „თინა ვლადიმერის ასული!“ ამით კიდევ ერთხელ საბუთდება, რომ სხვა ერის ყველა ტრადიციის გადმოწერვა და გადმოქართულება როდი შეიძლება.

რადგან „ივანე ივანიჩის“ გადმოქართულება არ მოხერხდა, „ადმინისტრაციულმა“ ენამ იპოვა იოლი გზა, პირდაპირ რუსული ფორმის ხმარება. ეს კი არა მარტო ქართული ენის დამახინჯების გზაა, არამედ სახელების შეცვლის გზაც. მაგალითად „ივანე“ იქცა „ივან“-ად, „პეტრე“ — „პიოტრ“-ად „გიორგი“ — „გიორგ“-ად, „თედორე“ — „ფეოდორ“-ად და ა. შ.

უნდა შეიქმნას ერთიანი სასოციალური პირობები, რის შედეგადაც ყველა უნდა ეცადოს — ხელმძღვანელებიდან დაწყებული რიგით მუშაკებამდე, რომ ასეთი დამახინჯებული ადმინისტრაციული ენა შესცვალოს ქართულმა დარბაისურმა ლიტერატურულმა ენამ. ჩვენი ენის საგანძურში უხვად მოიპოვება სიტყვები, რომლებითაც თავისუფლად შეიძლება მივმართოთ ნაცნობსა და უცნობსაც, ქალსაც და კაცსაც, ბავშვსაც და მოხუცსაც.

ასეთი მიმართვის ფორმებია, მაგალითად, უცნობის მიმართ: გოგონა, ბიჭიკო, ქალიშვილო, ყმაწვილო, ახალგაზრდა, ქალბატონო, ამხანაგო, მოქალაქე, მეგობარო, ძვირფასო; ან ბიძია, ბიცილო, დედა, ბებია, ბაბუა (როცა ბავშვი მიმართავს უფროსებს); ხოლო ნაცნობებს მიმართავთ სახელის წინ „ბატონო“-ს, „ქალბატონო“-ს ან „პატივცემულო“-ს დამატებით.

როდის ვისმართო „ბატონო“ („ქალბატონო“) და როდის „პატივცემულო“. ეს უკვე მრავალსუბიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შენიშვნებში შეჩვენებას. ხოლო შეჩვენებამდე მნიშვნელობა აქვს დისტიციის ფაქტორს. ჩემის აზრით, თუ ადამიანს მეტ პატივს ცემ, შეარჩევ უფრო თბილ სიტყვას. მაგალითად, „პატივცემულო“ უფრო თბილი ჩანს, ვიდრე „ბატონო“. ეს უკანასკნელი თანდათან ოფიციალურ იერს იძენს და სითბოს კარგავს.

ყველაზე მეტი სითბო, სიახლოვე და პატივისცემა უშუალოდ სახელით მიმართვაში, მაგრამ იმ პირობით, თუ უფროსი ან თანატოლი მოგმართავს, ხოლო როცა უმცროსი მოგმართავს უშუალოდ სახელით, ჯერჯერობით ეს უზრდელობად აღიქმება.

მოგა დრო და ეს პირობითობაც მოიხსნება. ადამიანები მომავალში მიმართავენ ერთმანეთს მხოლოდ სახელებით და მხოლოდ „შენობით“ და ეს იქნება ნორმალური, თბილი, ყურადღებიანი მიმართვა.

გალა ბანძელაძე

# რვათა საოჯახო ქალები

## უნდა გვესწავლოს

„კიბო“. ამ დიაგნოზს ბევრი ისე ისმენს, როგორც სასიკვდილო განაჩენს: ვითომ რისი იმედი უნდა იქონიოს კაცმა, — ფიქრობს სასოწარკვეთილი, — თუ სახელგანთქმულ მეცნიერებსაც ვერ აღმოუჩენიათ ჯერ ამ საზარელი დაავადების წამალი?

მაგრამ ნუთუ ეს სინამდვილეში ასეა? რა თქმა უნდა, არა. საბჭოთა მედიკოსებმა ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ავთვისებიან სიმსივნეებთან ბრძოლის საქმეში. განუწყვეტლოვ მიმდინარეობს დაძაბული კვლევები იმ ახალი პრეპარატების აღმოსაჩენად, რომლებიც ისევე იმოქმედებენ სიმსივნეებზე, როგორც მოქმედებენ მაგალითად, პასკი და ფტივაზიდი ტუბერკულოზის დროს. სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება ქირურგიული და სხივებით მკურნალობის მეთოდები.

ასლა დადგენილია, რომ მკურნალობის თერაპიული საშუალებანი გაცილებით კარგ ეფექტს იძლევიან დაავადების დაწყებით სტადიაში. აქედან გამომდინარე, ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადების დროულად გამოცნობას.

ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში ტარდება მოსახლეობის რეგულარული პროფილაქტიკური შემოწმება. ამის წყალობით, სულ უფრო იზვიათად გვხვდება კიბოს შორს წასული ფორმები.

ავთვისებიანი სიმსივნე არ ჩნდება სრულიად საღ, უცვლელ ქსოვილებში. ჩვეულებრივ, მისი წარმოშობისათვის ხელშემწყობ ნიადაგს წარმოადგენს დიდხანს შეუზორცებელი წყლულები, ნაწიბურები, ნახუთქები და პოლიპები. მართალია ამ ადგილებზე სიმსივნეების წარმოქმნა არ არის აუცილებელი, მაგრამ უფრო მოსალოდნელია.

ესე იგი, აუცილებელია იმ ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა, რომლებიც შედარებით ხშირად გადადიან კიბოში. საშიშია მკურნალობის გარეშე დავტოვოთ „უვნებელი“ პატარა წყლულები, ყურადღება არ მივაქციოთ პოლიპების, ხალების და მეტეჭების საეჭვო ზრდას. ამავე დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დაავადების განვითარების დასაწყისში, როცა ავადმყოფობის ლიკვიდირება გაცილებით იოლია, როგორც წესი, აღამიანი ტკივილს არ გრძნობს.

კიბოს დაავადებათაგან ქალებში ყველაზე უფრო გავრცელებულია საშვილოსნოს ყელის სიმსივნე. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, საშვილოსნოს ყელის კიბოთი უფრო ის ქალები ავადდებიან, რომლებმაც ძალიან ადრე, ორგანიზმის მთლიან განვითარებამდე, დაიწყეს სქესობრივი ცხოვრება. ლენინგრადელი მეცნიერების ჯგუფმა, რომელსაც პროფ. ა. სერებრიაკოვი ხელმძღვანელობს, დაამტკიცა, რომ თუ მაშინვე არ გაიკურნა მშობიარობის პროცესში მომხდარი საშვილოსნოს ყელის ჩახვეები, შემდეგში ამ ადგილებზე წარმოიშობა უხეში ნაწიბურები ან წყლულები, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში იძლევიან ავთვისებიან სიმსივნეებს.

სიმსივნეების წარმოშობას, ეჭვგარეშეა, ხელს უწყობს ხშირი აბორტებიც. აბორტის საშუალებება მხოლოდ იმ მექანიკურ ტრამეზა და ანთეზაში კი არ მდგომარეობს, რომლებიც თან ახლავს ამ ოპერაციას, არამედ იმაშიც, რომ ქალის სისხლში გროვდება ე. წ. ესტროგენების — საკვერცხეების პორმონების სიჭარბე, რამაც შეიძლება ბიძგი მისცეს ავთვისებიან სიმსივნეთა წარმოქმნას.

ჩვეულებრივ, პირველი საგანგაშო ნიშანი სისხლის დენა ან სისხლიანი გამოწყაფივა. ასეთი

სიმპტომების გამოჩენა ყოველთვის „უწყება“ ექიმთან. სპეციალისტი გასინჯავს საშვილოსნოს ყელს განსაკუთრებული სარკით, შეისწავლის საეჭვო ადგილებს სპეციალური აპარატის (მეშვეთ) ბით, ჩამოკვეთავს და მიკროსკოპით გამოიკვლევს ქსოვილის თხელ ანათალს და ა. შ. ავადმყოფობის ხასიათის ზუსტი გამოვლენა საშუალებას იძლევა ჩუტარდეს პაციენტს სწორი მკურნალობა. თუ წყლული კეთილთვისებიანია, მაშინ ჩვეულებრივ მიმართავენ მის მოკვეთას ან მოწყვას, რომელიც ამულტორიულ პირიბებში ხდება. ხოლო თუ საშვილოსნოს ყელის კიბოს აღმოაჩენენ, მაშინ, იმისდამიხედვით, თუ რა ხნის დაწყებულია პროცესი, გადაწყდება ოპერაციის შემდეგ რადიუმითა და რენტგენის სხივებით მკურნალობა. ერთი სიტყვით, ექიმებს გააჩნიათ საშუალებები წარმატებით უმკურნალონ ამ ორგანოთა კიბოს შორსწასულ ფორმებსაც. მაგრამ, ვიმეორებთ: საუკეთესო შედეგის მიღწევა შეიძლება მხოლოდ დაავადების ადრეული გამოცნობისას. აი, რატომაც აუცილებელი, რომ ყოველი ქალი, განსაკუთრებით კი ოცდაათ წელს ზემოთ, წელიწადში ორჯერ მაინც გაეინჯოს ექიმ-სპეციალისტს.

ნუ დაელოდებით ტკივილის დაწყებას, ზომები მიიღეთ პირველი არასასიამოვნო ნიშნების გამოჩენისთანავე: სისხლდენისას, თეთრად შლისას. აღნიშნეთ კალენდარზე დედათა წესის მოსვლის თარიღები, რათა მაშინვე შენიშნოთ უდროო სისხლდენა. გახსოვდეთ, რომ თეთრად შლა ზშირად მუწყებულია საშვილოსნოს ყელის ეროზიონა, რომელსაც უნდა ვუმკურნალოთ, რათა სიმსივნე არ განვითარდეს.

და კიდევ ერთი რამ: რაც შეიძლება ერიდეთ აბორტებს, მითუმეტეს — ხშირი აბორტებს. მითათბირეთ ექიმთან და გამოიყენეთ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებანი.

მოუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას. გახსოვდეთ, რომ მისი დაკარგვა უფრო ადვილია, ვიდრე შენარჩუნება.

ბ. ლუხტანი,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ნა უნდა  
იქონებს  
მთავარი

ცნობილია, რომ ჰარხალი ძალიან დიდხანს იხარშება—3-3 1/2 საათი. მაგრამ ყველამ არ იცის, რომ დუდილის ხანგრძლიობის შემცირება შეიძლება: ჰარხალი ქვაში ჩადეთ, დაახლოებით ცივი წყალი და როგორც წყალი დუდილს დაიწყებს, დაინიშნეთ საათზე დრო. ჰარხალმა უნდა ილულოს მხოლოდ 1 საათი, შემდეგ ცეცხლიდან გადმოიღეთ და 10 წუთით ქვაბიდან შედგით მომცებულ ონკანის ქვეშ. ამის შემდეგ ჰარხალი მზად იქნება.

ტორტი არ განხება თუ მუყაოს კოლოფში მასთან ერთად მოათავსებთ ვაშლს.

შემწვარი ხორცი უფრო წინაინი და გემრიელი იქნება, თუ სუფრაზე მიტანამდე თხუთმეტი წუთით გააჩერებთ მღულარე-წყლიან ქვაბს ზემოთ.

მარილი რომ სამარილეში არ დაინოტოს და მშრალი და ფხვიერი იყოს, სამარილეს ფსკერზე ჩაუფინეთ საშრობი ქაღალდი ან სამარილეში ჩაყარეთ ბრინჯის 2-3 მარცვალი. საშრობი ქაღალდი და მარცვლები სინესტეს შეიწოვს.

ცოტაოდენი მარილი აჩქარებს ცილის ათქვეფას. თუ ათქვეფოლ ცილაში შეუტევთ შაქრიან ვანილს და ნაღებს, მივიღებთ საუტებო ვანილის კრემს.

მშრალ ადგილას შენახული საპონი სამკერ უფრო დიდხანს მოგემსახურებათ, ვიდრე სინესტეს შენახული.

ძროხის ღვიძლი რბილი და გემრიელი გამოვა, თუ შეწვამდე ან მოხრაკვამდე ნახევარი საათით ადრე რძეში დაალბობთ.



კომპის მურაბა

მასალა: 1 კგ კომპი, 1 კგ შაქარი, 2 ჭიქა წყალი.

გარეცხილი მთელ-მთელი კომპები ჩააწყვეთ ქვაბში, დაასხით იმდენი წყალი, რომ მთლიანად დაიფაროს. შედგით დიდ ცეცხლზე, როცა წყალი აღუდგება, ამოიღეთ კომპები და ცივ წყალში ჩააწყვეთ. შემდეგ გათალეთ, გული ამოართვით და 6-7 ნაწილად დაჭერით (ნაჭრები არ უნდა გამოვიდეს თხელ-თხელი).

დამუშავებულ კომპს ზევიდან ცხელი სქელი სიროფი მოასხით (სიროფი კომპის მონახარში წყლით უნდა დამზადდეს).

სიროფისხმული კომპი 12 საათი გააჩერეთ, მერე ცეცხლზე შედგით და 5 წუთი ადუღეთ. შემდეგ 6 საათი დატოვეთ უცეცხლოდ. ბოლოს კი იმდენხანს ადუღეთ, ვიდრე მურაბა არ გამზადდება.

მურაბა ხარშეთ ძლიერ ცეცხლზე. ხარშვისას რომ არ მიიწვას, დროდადრო წრიულად შეანჯღრეთ.

ქაფის მოსართმევად ქაჭქირი იხმარეთ.

თუ კომპს ნაკლები სიმჟავე აღმოაჩნდა, ხარშვის დასასრულს 1 ლიმონის გამონაწერი წვენი ან 3 გრ ლიმონის სიმჟავე მიუმატეთ. ლიმონის სიმჟავე ცალკე გახსენით ცხელ წყალში და ისე შეურეთ მურაბას.

გამზადებული მურაბიდან კომპის ნაჭრები კოვზით ამოიღეთ, სუფთა ქილებში ჩააწყვეთ, ზემოდან ცხელი სიროფი დაასხით, ქილას სველი ტილო დაახურეთ, მეორე დღეს კი პერგამენტის ან ცელოფანის ქაღალდით მოუკა-

რით თავი. უკეთესი იქნება, თუ გამოიყენებთ პლასტმასის სახურავს.

კომპის კომპოტი

მასალა: 500 გრ კომპი, 150-200 გრ შაქარი, 2-2 1/2 ჭიქა წყალი.

გარეცხილი კომპი გათალეთ, ამოართვით გული, 8-10 ნაწილად დაჭერით, ცივ წყალში ჩააწყვეთ. მერე საწურში მოათავსეთ, რომ წყლისგან დაიწრიტოს. ბოლოს ცხელ სიროფში ჩაალაგეთ და ხარშეთ 20-25 წუთი.

კომპოტი მაგიდასთან გრილი მიიტანეთ.

კომპის დაკონსერვებული კომპოტი ზამთრისათვის

(სტერილიზაციით)

მასალა: 1 კილოვანი ქილა დაჭრილი კომპი, 3/4 ჭიქა შაქრის ფხვნილი, წყალი იმდენი, რომ ქილის გაესებას 2-3 სმ დააკლდეს.

გარეცხილი კომპი შერბილებამდე ხარშეთ. მერე ცივ წყალში ჩაუშეთ. გათალეთ, გული გამოაცალეთ, თვითული 6-8 ნაწილად დაჭერით, სუფთა ქილაში ჩააწყვეთ, შაქრის ფხვნილი დააყარეთ, ზევიდან ის წყალი დაასხით, რომელშიც კომპი მოხარშეთ. გამზადებულ ქილას დახურეთ ხუფი და გაუკეთეთ სტერილიზაცია 20-25 წუთის განმავლობაში.

კომპის დაკონსერვებული კომპოტი ზამთრისათვის

(სტერილიზაციის გარეშე)

მასალა: 1 კგ კომპი, 250 გრ შაქრის ფხვნილი, 800 გრ წყალი.

გარეცხილი კომპი გათალეთ, ამოართვით გული, დაჭერით 6-8 ნაწილად. მოამზადეთ სიროფი, შიგ კომპის ნაჭრები ჩააწყვეთ და იმდენხანს ადუღეთ, ვიდრე ცოტათი არ შერბილდება. შემდეგ ჩამოიღეთ ქურიდან და 10-12 საათი უცეცხლოდ გააჩერეთ. მერე წამოადუღეთ, კომპის ნაჭრები სუფთა ქილებში ჩააწყვეთ, სიროფი კიდევ ერთხელ წამოადუღეთ, შიგ 1 გრ სალიცილის ფხვნილი შეურეთ. ეს ახლადადუღებული სიროფი მოასხით კომპს. ქილას თავი მოუკარით ცელოფანის ან პერგამენტის ქაღალდით. უკეთესი იქნება დაახურებთ პლასტმასის სახურავი.

შენიშვნა: კომპი გათლისთანავე ცივ წყალში უნდა ჩაუშვათ, რომ არ გაშვადეს.

კომპის ხილფაფა (პავიდლო)

მასალა: 1, 250 კგ კომპი, 500 გრ შაქარი, 1 ლიმონი.

მწიფე გარეცხილი კომპი გათალეთ, ამოაცალეთ გული, დაჭერით წვრილ-წვრილ ნაჭრებად. იმდენი წყალი დაასხით, რომ კომპი დაიფაროს და

თავდახურულ ქვაბში ხარშეთ, ვიდრე არ შერბილდება. მოხარშული კომპის ნაჭრები საწურში გახეხეთ, დაამატეთ შაქარი, ლიმონის წვენი და ნელ ცეცხლზე განაგრძეთ. ხარშვისას მასას გამუდმებით ურთეთ, ვიდრე კოვზიდან ნაჭერი-ნაჭერი არ ჩამოცვივდება ხილფაფა.

გამზადებული ხილფაფა მოათავსეთ ქილაში და ზემოდან სველი ტილო დაახურეთ. ტილო მხოლოდ მაშინ მოაცალეთ, როცა გავრილდება. ქილას თავი პერგამენტის ან ცელოფანის ქაღალდით მოუკარით. შეგიძლიათ გამოიყენოთ პლასტმასის სახურავიც.

კომპის ჟელე

ზოგიერთი ტკბილეული გათლილი კომპისაგან მზადდება. ეს ნაფუქვები არ უნდა გადაყაროთ. კანისაგან მზადდება ჟელე.

კომპის კანსა და გულს იმდენი წყალი დაასხით, რომ დაიფაროს და ძალიან კარგად მოხარშეთ.

მოხარშული ნათალები მოათავსეთ საწურზე. საწურს ქვაბი შეუდგით და იმდენხანს გააჩერეთ, სანამ ქვაბში მთლიანად არ ჩაიწურება წვენი.

მიღებული მასა ჭიქით აზომეთ.

1 ჭიქა წვენი ნახევარი ჭიქა შაქარი და ცოტა ლიმონის წვენი შეურეთ, შემდეგ კვლავ შედგით გაჭურვულ და ხარშეთ.

ჟელე მზად იქნება, როცა თეფშზე დასხმული მისი ერთი წვეთი არ გაიშლება.

დამზადებული ჟელე ქილებში გაანაწილეთ და თავი მჭიდროდ დახურეთ. ჟელე შეგიძლიათ ჩაასხათ ლითონის პატარ-პატარა ფორმებშიც. ფორმები ჟელეს ჩასხმამდე ცივ წყალში გააგულეთ.

როცა ჟელე გაცივდება, რკინის კოლოფებში გადააწყვეთ. კოლოფს წინასწარ პერგამენტის ქაღალდი ჩაუფინეთ. თუ კოლოფში ჟელეს რამდენიმე ფენად მოათავსებთ, მაშინ პერგამენტის ქაღალდი ფენებს შორისაც ჩააფინეთ და ზევიდანაც გადაახურეთ. დაკონსერვებული ჟელე მშრალ ადგილას მოათავსეთ. ის შეგიძლიათ მთელი ზამთარი გამოიზოგოთ.

კომპის ცუკაბტი

ცუკაბტი მოხარშული, შემდეგ გამხმარი და დაშაქრული ხილია. ცუკაბტი გემრიელი ტკბილეულია და გამოიყენება ტორტის, ან სხვა ნამცხვრის მოსართავად.

ცუკაბტის მისაღებად ხილი ისევე უნდა მოხარშოთ, როგორც მურაბა, იმ განსხვავებით, რომ ხარშვიდან ხარშვამდე 3-4-ჯერ გადმოვდგათ ცეცხლიდან.

მურაბის მოხარშვის შემდეგ ხილი სიროფიდან ამოალაგეთ, დააწყვეთ საწურზე და იმდენხანს გააჩერეთ, ვიდრე არ დაიწრიტება წვენისაგან. ამის შემდეგ, ხილი ამოავლეთ გაცხილ შაქრის ფხვნილში, მერე ჩააწყვეთ საცერში და გასაშრობად თბილსა და მშრალ ადგილას მოათავსეთ.

ცუკაბტი ლითონის ქილებში შეინახეთ. ფენებს შორის პერგამენტის ქაღალდი ჩაუფინეთ.

მასალა: 1 კგ მწიფე კომში, 1 ლიტრი არა-ყი, 300 გრ შაქარი.

გარეცხილი 1 კგ კომში გახეხეთ. ნახეხი 3-კილოგრამიანი ქილაში მოათავსეთ. ქილას თავზე ცელოფანის ქაღალდი მოაყარით და 10 დღით გრილ ადგილას შეინახეთ. როცა გახეხილი კომში წვეწვს შეიყვანებ, გამოწურეთ და სხვა სუფთა ქილაში ჩაასხით. წვეწვს არაყი დაასხით, შაქარი და ვანილი დააყარეთ (1 ღერი ვანილი ან ორი შევერა შაქარიანი ვანილი). ქილას თავზე დოლბანდი მოაყარით და ასე 3 თვის მანძილზე შეინახეთ. მერე ორმაგ დოლბანდში გაწურეთ, ჩაასხით ბოთლებში და თავი მჭიდროდ დახურეთ.

კომში იუგოსლავურად

მასალა: 1, 250 კგ კომში, 800 გრ შაქარი, 100 გრ ნუში (ან ნიგოზი), 1 ღერი ვანილი ან 2 შევერა შაქარიანი ვანილი.

გარეცხილი კომში გათალეთ, ამოართვიეთ გული და მოხარშეთ. ხარშვის დროს 2-3 ჯერ გამოუცვალეთ წყალი (ყოველ გამოცვლაზე დაასხით თბილი წყალი). დარბილებული კომში ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ. მიღებულ მასას შაქარი შეურიეთ. შედგით ქურაზე. ხის კოვზით შეურიერბლივ ურიეთ. მიღებული მასა კოვზით 2 ნაწილად გააყავით, თუ ნაწილები არ შეერთდა, მასა უკვე მზადაა და ქვაბი ქურიდან ჩამოღეთ.


ნაჭუჭისაგან განთავისუფლებულ ნუშს მდურღარე წყალი დაასხით, მოაცილეთ კანი და გააშრეთ.

კომშის ცხელი მასა 2 ნაწილად გააყავით. ერთი ნაწილი წყალმოვლებულ სწორ ლანგარზე მოათავსეთ და 2 სმ სისქის სწორკუთხედის ფორმა მიეცით. ზევიდან ნუში მოაყარეთ, მერე დაკეპილი კომშის მასა იმავე ფორმით დააფინეთ.

როცა შეგრილდება, ზევიდან ვანილშერეული გაყრილი შაქრის ფხვნილი მოაყარეთ. ასე რამდენიმე დღეს გააჩრეთ. შემდეგ კი ხის ყუთებში შეინახეთ, პერგამენტის ქაღალდში შეხვეული.

ეს ტკბილეული ზამთრისთვის გამოდგება, რადგან ძალიან კარგად ინახება. სუფრაზე შეგიძლიათ მიიტანოთ ყავასთან ერთად და მის გარეშეც.

ც. ელიზულაშვილი, ლ. კაიხაძე.



ცეკვლეები და პიკუსი

„ადამიანმა რომ ტირილი იცის, მხოლოდ იმიტომ ცოცხლობს“, — ეს არაჩვეულებრივი განცხადება ვაკეთა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა მონტეგიუმ. მონტეგიუს მიაჩნია, რომ ადამიანის ცხოვრებაში ცრემლი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ცრემლი მართლ თვალეზიდან როდი გამოიყოფა: ცრემლსადენი არხიდან ის იჭრება სასუნთქ გზებში და ანოტივებს ცხვირის ღორწოვან ვარსს. თუ თვალს ვადევნებთ მაყურებელს, რომელიც „გულიწამაყურებელ“ ფილმს უქცერს. შევამჩნევთ, რომ იგი წამდაწუმ ცხვირს იხრავს. ცრემლი წყალი არაა. მის შემადგენლობაში შედის ლიზოციმი — ბაქტერიების მომსპობი ნივთიერება, რომელსაც პოლიომიედიტის ვირუსის განადგურებაც კი შეუძლია. ლიზოციმი სადენინფექციო ნივთიერებაა, ამიტომაც, რომ თვალეზს იშვიათად ერევა მიკრობები.

ვადევიჩინა ვაკეაშკოვას სახელობის ადამსი

ჩრდილოეთ ციმბირში, სადაც ალმასის მდიდარი სახადოებია, იპოვეს უნიკალური თვითნაბადი. მისი ზომა დიამეტრში 15 სმ-ს აღწევს და იწონის 515 კარატს. სპეციალისტების აზრით ამ ოვალური ფორმის ალმასისაგან გამოვა საუკეთესო ბრილიანტი. ახალ ალმასს ღაარქვეს მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალის ვადევიჩინა ტერეშკოვას სახელი.

ლაგაი პიკუსი

პარიზში ინდოეთიდან სტუმრად ჩამოვიდა გამოჩენილი პიროვნება. საღამოს ის მიწვევის კლუბში, სადაც პირველად ნახა ციკვა „ტვისტი“.

— ალბათ მოცეკვავეები ძალიან ღარიბები? — კითხა ინდოელმა თანმხლებლებს.

— თქვენ ცდებით, ამ კლუბის წევრად გახდომა შეუძლიათ მხოლოდ მდიდრებს, — უპასუხეს მასპინძლებმა.

— მაშინ განმხარტეთ: რატომ არ დაიქირავენ ისეთ მოცეკვავეებს, რომლებიც მათ მაგივრად შეასრულებენ ამ მძიმე დამქანცველ სამუშაოს?

თანამედროვე ამოკადები

ბრაზილიის ჯუნგლებში ცხოვრობს არაბთა ორი პატარა ტომი — ამოკადები. ორს 30 ტომის მოსახლეობა მხოლოდ ქალებისა და ბავშვებისაგან შედგება. ცხოვრობენ ისინი ბრაზილიის საზღვარზე, საფრანგეთის გვიანას მახლობლად. თანამედროვე ამოკადები მშვიდ ცხოვრებას ეწევიან: ნადირობენ და თევზაობენ, ისინი ძალზე ოსტატურად ფლობენ შუბს და ბარჯს.

ამ ტომების მამაკაცი ამოკადების სოფლებიდან გაძევებული არიან და დაშორებით ცხოვრობენ. თავიანთი ცოლების ნახვა შეუძლიათ მხოლოდ წელიწადში ერთხელ, ისიც თებერვალში და მათთან დარჩენა კი ორი კვირის განმავლობაში.

გარეკანზე — „მორწინების სახლი“.

ფერადი ფოტო ნორა ანთიძის

რედაქტორი თეა აბაშვილი

სარედ. კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ნ. გურგენიძე, ე. თავაძე, მ. კალანდანი (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სინარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჭავჭავაძე.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა


ტიპოგრაფია ქ. დემურთაძე.

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბუქლად 27/XI-64 წ. ქალაქის ზომა 60x92. ტირაჟი 50.000 შეკვ. 2906. უე 12158 ფასი 80 კაპ.

საქ. კვ. ც-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелოს კალი». Издательство ЦК КП Грузии.




ა. ერაძე



# იუზოჩი




ა. ერაძე



— გახსოვს, პატივცემულო ერთხელ ჩათვლა რომ არ მომეცი?


მ. მურმანიშვილი



— დედიკო, როდის მაჭმევ მურაბას?  
— როცა საათის ისარი მივა ხუთზე

მ. მურმანიშვილი

ა. დოიაშვილი



მეუღლის პორ...

ИНДЕКС 76177

640/3



ქართული  
ხელნაწილები

